# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 14 ივნისი 2008 №135 (3359) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰორტუ გალიიდან გამოფრინდა

### სადისციპლინოს აპელაციამ აჯობა, პასუხი ისევ დისციპლინარებზეა

„ჰორტუ“ გადარჩა და ახალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ეს გადაწყვეტილება უეფას სააპელაციო კომიტეტმა გუშინ, ოთხსაათიანი განხილვის მერე მიიღო.

საქმის არსი გეხსომებათ: „ჰორტუს“ ოთხი წლის წინანდელი ცოდვები ამოუქექეს, ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯთა მოსყიდვაში ამხილეს და პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამაც კლუბს დანაშაულის შესაბამისი სასჯელიც დააკისრა: დააჯარიმა და წინა სეზონში დაგროვილი ქულების ნაწილიც ჩამოაკლო. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ჩამოჭრილმა ქულებმა „ჰორტუს“ ვერაფერი დააკლო, რაკილა ჩემპიონატი იმხელა უპირატესობით მოიგო, ქულანაკლულიც პირველ ადგილზე დარჩა.

მთავარი სასჯელი კი პორტუელებს უეფას სადისციპლინო კომიტეტმა მიუსაჯა — 2008-2009 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან მოკვეთა.

ეს კი ძალიან სერიოზული დასჯა გახლდათ და „ჰორტუმაც“ უმალ სააპელაციო კომიტეტში იჩივლა. ხოლო რა მოჰყვა კომიტეტის სხდომას, თავშივე მოგახსენეთ.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა და შესაძლოა ისეც მოხდეს, პორტუელთა სიხარული ნაადრევი გამოდგეს. სააპელაციო კომიტეტმა სადისციპლინო კომიტეტს საქმის ხელახალი განხილვა დაავალა და ეს მომდევნო კვირაში მოხდება. როგორი იქნება დისციპლინართა ახალი ვერდიქტი, მალე შევიტყობთ, თუმცა ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთა კლუბს აღარ ემუქრება.

# სიკვდილის ჯგუფი, სადაც ჰოლანდია დამკრძალავი ბიუროა

## 7:1 მსოფლიოს ჩემპიონთან და ვიცე-ჩემპიონთან

## ვითომ გადარჩა იტალია?



# ცხრათა წერილი: ფიფა და ფიფინ ზესტაფონი იბრძვის და აშენებს

გოგი ფიფია

ალექსი ბენაშვილი

გიორგი ხიდეშელი

**როგორც** გუშინ შევიტყვეთ, არეულობაა იმერულ კლუბში. „ზესტაფონი“ დღეს ურეკში უნდა წავიდეს 10-დღიან შეკრებაზე, თუმც გუნდში სკანდალი აგორდა. საქმე, აი, რაში გახლავთ. „ზესტაფონის“ ფეხბურთელი გოგი ფიფია ზესტაფონურ კლუბს უჩივის. შეგახსენებთ, რომ ფიფიას კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოუვიდა — ერთ ხანს ფიფია გუნდიდან დაითხოვეს, შემდეგ ფარმკლუბთან ერთად მისცეს ვარჯიშის უფლება, ცოტა ხნის მერე კი, როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, ვარჯიშიც აუკრძალეს და ფიფიამაც იურიდიულად შეუტია „ზესტაფონს“.

როგორც გაირკვა, ფიფიამ თანაგუნდელების ხელმოწერები შეაგროვა და ფეხბურთელები ამ წერილში ადასტურებენ, რომ კლუბი ფიფიას ვარჯიშის ნებას არ აძლევდა. ეს კი უეფას კანონებს ეწინააღმდეგება.

გოგი ფიფიას გუშინ რომ დავუკავშირდით, აი, რა გვითხრა: „ფეხბურთელებმა დაადასტურეს ის, რაც სინამდვილეში იყო, არ მაძლევდნენ ვარჯიშის უფლებას და ამას ვერ უარყოფენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დღეს უნდა განეხილათ ეს საკითხი, თუმც რამდენიმე დღით გადაიდო.“

ჩვენი ინფორმაციით ამ წერილზე ხელი მოწერილი აქვთ — ედიკ საჯაიას, მურთაზ დაუშვილს, სევასტი თოდუას, გიორგი ხიდეშელს, როინ ონიანს, როინ კვასხვაძეს და ბექა გოცირიძეს და კიდევ სამ ფეხბურთელს, რომელთა ვინაობაც ამ წუთას არ ვიცით. ცხადია, ამ ფეხბურთელებთან დაკავშირებაც ვცადეთ, თუმც მხოლოდ გიორგი ხიდეშელთან მოვახერხეთ გასაუბრება.

„გოგა ფიფიამ მოიტანა წერილი და ჩვენც, რაც იყო სიმართლე, ის დავადასტურეთ. გოგას არ აძლევდნენ ვარჯიშის უფლებას. რაც შეეხება ჩემს მომავალს, „ზესტაფონთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა და უახლოეს დღეებში გადაწყდება წავალ თუ დავრჩები“.

ამის მერე ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეს, ფეხბურთელთა სტატუსის და ტრანსფერების კომიტეტის წევრს, რევაზ შენგელიას დავურეკეთ და კომიტეტში შესული ამ სკანდალური წერილის თაობაზე ვკითხეთ.

რევაზ შენგელიამ დაგვიდასტურა, რომ ნახსენები შინაარსის წერილს, რომელსაც ცხრა ფეხბურთელი აწერს ხელს, კომიტეტში გაეცნენ, მაგრამ საქმის განხილვა გადაიდო. მიზეზი ის გახლავთ, რომ წერილს 'იურიდიული საბუთის ფორმა არ აქვს და ნოტარიულ დამოწმებას საჭიროებს. შენგელიასვე თქმით, არსებობს მეორე ვარიანტიც: წერილზე ხელმომწერებმა კომიტეტს პირადად უნდა დაუდასტურონ წერილში ჩამოთვლილი ფაქტები.

ესაუბრეთ თუ არა კლუბის ხელმძღვანელებსაც? — ვკითხეთ შენგელიას.

— რა თქმა უნდა და ისინი საპირისპიროს ამტკიცებენ. გვითხრეს, რომ თავად ფიფია არღვევდა დისციპლინას. აქამდე კლუბს საქმის გამწვავება არ სურდა, მაგრამ რაკი თავად ფეხბურთელმა იჩივლა, კლუბსაც შესაბამისი რეაგირება ექნებაო. ერთი სიტყვით, ამ საქმეს სრულფასოვნად შევისწავლით და გადაწყვეტილებასაც ფიფას წესების შესაბამისად მივიღებთ.

შემდეგ „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძეს დავურეკეთ და კომენტარი ვთხოვეთ:

„ამ საკითხზე აღრეც გვითქვამს და ერთხელაც გავიმეორებ. არსებობს კონტრაქტი, რომლის პირობებიც ფეხბურთელმა უნდა შეასრულოს.“

„ფიფიას საქმეს“ პირდაპირ არ ეხება, მაგრამ სხვა ზესტაფონელ ფეხბურთელთან დაკავშირებით ფეხბურთელთა სტატუსის და ტრანსფერების კომიტეტმა ერთი გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ლაპარაკია, ალექსი ბენაშვილზე, რომელიც დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში არღვევდა დისციპლინას, არ დადიოდა ვარჯიშებზე.

რევაზ შენგელიას თქმით, ფიფას წესები ამ შემთხვევაში ოთხიდან ექვს თვემდე დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს.

კომიტეტმა ბენაშვილის არგუმენტებიც მოისმინა, მაგრამ არადამაჯერებლად მიიჩნია და წლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მისცა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში სეზონი 2 აგვისტოს იწყება და პირველი წრე ნოემბრის ბოლოს სრულდება. შესაბამისად, ბენაშვილი მთელ პირველ წრეს გამოტოვებს.

ახლა კი უფრო სასიამოვნო ზესტაფონურ ამბებზეც ვთქვათ.

ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე სარემონტო სამუშაოები რომ მიმდინარეობს, „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება. სტადიონის მფლობელი ქალაქის მუნიციპალიტეტია, თუმც კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, საკუთარი სახსრებით გაარემონტოს და უეფას სტანდარტები დააკმაყოფილოს. შეგახსენებთ, უეფას კომისია ივნისის ბოლოს მოინახულებს ზესტაფონის სტადიონს და დადებითი პასუხის შემთხვევაში, „ზესტაფონი“ უეფას თასზე შინ ითამაშებს. ამჟამად კი ინდივიდუალური სკამების დასამონტაჟებლად ორივე ტრიბუნა გამზადებულია და ეს პროცესიც უახლოეს დღეებში დაიწყება.

„ზესტაფონი“ კი, ერთხელაც ვთქვათ, დღეს ურეკში გაემგზავრება 10-დღიან შეკრებაზე, სადაც ახალწვეულები, ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ რომეო ჩასემსაც იახლებს.

**ნუკრი ლოლაძე**



# ვიტელებმა კუს ტბით დაიწყეს

**გუშინ** თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ნესტორ მუმლაძემ შეგირდები კუს ტბის ტერიტორიაზე შეკრიბა და არბენინა.

მოგეხსენებათ, რომ გუნდი დატოვეს თავდამსხმელებმა ზაზა სახოკიამ და ბჩანა ცხადაძემ. ასევე ახალი სეზონიდან სხვა გუნდში გააგრძელებს კარიერას პაატა დათუნაიშვილიც. შემატებით კი ვეტერინარებმა საჩხერის „ჩიხურას“ მცველი დავით ხურცილავა შეიმატეს და როგორც შევიტყვეთ, „ჩიხურას“ თავდამსხმელი მირიან მიქაძეც სურთ და ეს საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**ნუკრი ლოლაძე**

**მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა**

VIII ჯგუფი
III ტური

**მავრიტანია 0:1 ეთიოპია**

XII ჯგუფი
III ტური

**ჯიბუტი 0:6 კონგოს დ. რ.**

**ბრაზილია**

სერია A. VI ტური

**ატლ.-მინეირუ 4:2 იპატინგა**
**ფლუმინენსე 1:1 სანტოსი**
**პალმეირასი 5:2 კრუზეირუ**

**აშშ**

მეიჯორლიგა. XIII ტური

**ჰიუსტონი 0:2 ნიუ ინგლენდი**


რაინერ ცობელი


ნედ ზელიჩმა, შესაძლოა, კარიერაც დაასრულოს

# დინამომ დინამო შეკრიბა ცობელი საქმეს დღეს დაიწყებს

**თბილისის** „დინამომ“ ახალი სეზონისთვის მზადება დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყო, გუშინ ორჯერად ვარჯიშებზე გადავიდა და დღეს უკვე ახალ მწვრთნელს დახვდება. რაინერ ცობელი, რომელიც გერმანიაში რამდენიმე დღის წინ პირადი საქმეების მოსაგვარებლად გაემგზავრა, თბილისში ამ დილით დაბრუნდა და საღამოს გუნდს საჯარჯიშოდ პირველად გაუძღვება.

დღესდღეობით კი ცობელის საშწყსო მთლად სრული შემადგენლობით არ არის: გაბონელები, მეკარე დიდიე ოვონო და თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი თავიანთი ქვეყნის ნაკრებში არიან მიწვეულები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის, ხოლო ჩერნოგორიელი ილია სპასოევიჩი ნაოპერაციევია, სარეაბილიტაციო კურსს შინ გადის და თბილისში უახლოეს დღეებში ჩამოვა.

დიღმის ბაზაზე არიან ის დინამოელებიც, რომლებიც კლუბს წინა სეზონში ჰყავდა განათხოვრებული. ახლა ყველანი რაინერ ცობელის ჩამოსვლას ელიან, რადგანაც ახალი გუნდის დაკომპლექტებისას, ცხადია, საბოლოო სიტყვას სწორედ მწვრთნელი იტყვის.

ახალი სეზონისთვის „დინამოს“, ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელი შეემატება. ჯერჯერობით კი კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდათ და აქაურობას დაშორდნენ ავსტრალიელი მცველი ნედ ზელიჩი და ჩეხი რომან დობეში. ზელიჩს ფეხი აწუხებს და როგორც „დინამოდან“ წასვლისას დაიბარა, შესაძლოა, ფეხბურთს საერთოდაც შეეშვას.

** კოტა ინასარიძე**

# მაკარიძის ერთი ქართული კვირაც



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების 18 წლის მეკარე გიორგი მაკარიძეს თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი მალე ამოეწურება და თავისუფალი აგენტი გახდება. მაკარიძე „დინამო 2“-ში ირიცხება და თამაში იშვიათად უწევდა — მიზეზი კლუბის ხელმძღვანელებთან გართულებული ურთიერთობა იყო. უთამაშებლობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი, ახალგაზრდა მეკარეს მაინც იძახებდა ნაკრებში. ალბათ, გახსოვთ, რომ შოტლანდიასთან მოგებულ შეხვედრაში (2:0) სწორედ მაკარიძე იცავდა საქართველოს ნაკრების კარს. გიორგის ჩვენი ნაკრების ახალი თავკაცი პეტარ სეგრტიც ენდო და ესტონეთსა და პორტუგალიაში იახლა, თუმც თამაშმა არ მოუწია.

როგორც შევიტყვეთ, მაკარიძის ახალი კლუბის ვინაობა ერთ კვირაში გაირკვევა. სავარაუდოდ, იგი კარიერას რომელიმე გერმანულ გუნდში გააგრძელებს.

**ნუკრი ლოლაძე**

# იმედაშვილის ათი წუთი

**ქართველმა** მცველმა დავით იმედაშვილმა კიევის „დინამო 2“-ში, უკრაინის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ლიგის 33-ე ტურის გადადებულ შეხვედრაში, დნეპროძერჟინსკის „სტალის“ წინააღმდეგ ითამაშა.

ამის შესახებ, საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. მატჩში, რომელიც კიეველებმა 2:0 მოიგეს, იმედაშვილი მოედანზე მე-80 წუთზე შეცვლაზე შევიდა.

იმედაშვილის სატრანსფერო უფლებები კიევის „დინამოს“ ეკუთვნის. მან იჯარით რამდენიმე გუნდში ითამაშა. მაგრამ კვლავ უკრაინულ კლუბს დაუბრუნდა, მაგრამ თამაშის საშუალება, მხოლოდ „დინამო 2“-ში ეძლევა.

დავით იმედაშვილი

# შალკე გადარეულია: რა ლამაზი ყოფილა კობის სამშობლო...

ლევან კობიაშვილის სტუმრები საქართველომ აღაფრთოვანა

**„ახლა** რომ ყველას სჯერა, რომ ულამაზესი სამშობლო მაქვს“ — ეს ლევან კობიაშვილის სიტყვებია, „შალკეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მცირე ინტერვიუში.

უნდა ნახოთ, „ხუმარების“ ვებგვერდზე საქართველოს ხოტბას ასხამენ და ნარ-ნარი ფოტოები დაუდვიათ — აი, ასეთი ქვეყნიდანაა ჩვენი კობიაშვილიო.

საქმე კი ასე იყო: 2006 წლის ზაფხულში „შალკეს“ ბანკეტზე ლევანი კლუბის ფინანსურ დირექტორ იოზეფ შნუზენბერგს შეჰპირებია, საქართველოში უნდა ჩაგიყვანო და იქაურობა დაგათვალიერებინოო. შნუზენბერგიც ოჯახთან ერთად ამასწინათ, შოთა არველაძის ბენეფის-მატჩის დღეებში ჩამოვიდა და კობიმ, ცხადია, გულიანი მასპინძლობაც გაუწია.

„ეს არის დიდებული ქვეყანა. აღფრთოვანებული ვარ. ხალხიც ძალიან თბილია, ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი. რა თქმა უნდა, ლევანის ოჯახშიც ვიყავი, სადაც ძალიან ლამაზი ატმოსფერო დამხვდა, საქართველო გამორჩეულია სტუმართმოყვარეობით და რელიგიური კულტურით.

...იმისთანა ისტორიული ძეგლებით, როგორიც იქ ვნახე, არა მგონია, ბევრმა ქვეყანამ დაიკვეხოს. ამასთან, გადასარევი ბუნებაა, ულამაზესი ლანდშაფტები.

..ჩემი იქ ყოფნის პერიოდში საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, შოთა არველაძის ფეხბურთიდან გაცილების მატჩი გაიმართა, სადაც ვარსკვლავებმა ითამაშეს. ყველაფერი ლამაზად იყო, ბოლოს ძმები არველაძეების შვილები გამოვიდნენ მინდორზე და გოლიც გაიტანეს“ — ეს შნუზენბერგის სიტყვებია, რომელიც საქართველოს ქებით არ იღლება.

გესიამოვნება, როცა უცხოელს შენი ქვეყანა ასე მოსწონს...

**ილია ნანოგაშვილი**

# ჯელაძეს გაუნახევრეს

**ყაზახეთის** საფეხბურთო პრემიერლიგაში მოთამაშე უსტ-კამენოგრსკის ქართველ ცენტრალურ მცველს ზვიად ჯელაძეს, დისკვალიფიკაციის ვადა ოთხიდან ორ მატჩამდე შეუმცირეს.

ამის შესახებ, ყაზახური სპორტული ინტერნეტ-გამოცემა SPORT-ი იუწყება. ჯელაძეს დისკვალიფიკაცია ყაზახეთის ჩემპიონატის მე-II ტურში, „ატირაუსთან“ მატჩის შემდეგ, არასპორტული საქციელისთვის მისცეს.

თუმცა, ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა საკუთარ გადაწყვეტილებას გადახედა და ქართველი სანახევროდ შეიწყალა.

# გიორგი დემეტრაძე თოფებს შორდება

**კიევის** „არსენალის“ მწვრთნელმა ალექსანდრ ზავაროვმა თქვა, სამი ფეხბურთელი კლუბის ხელმძღვანელობას ესაუბრება თავისი მომავლის შესახებ. ზავაროვმა მათი გვარებიც დაასახელა და ერთ-ერთი გიორგი დემეტრაძე ყოფილა. შემდეგ კი მწვრთნელმა დაურთო — კლუბის შეცვლა თითქმის ყველა ფეხბურთელისთვის ჩვეულებრივი ამბავიაო.

ზავაროვის სიტყვები მიგვანიშნებს, რომ დემეტრაძისა და „არსენალის“ გზები გაიყრება, რაც სულაც არაა გასაკვირი: დემეს ხომ უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეში თითქმის არ უთამაშია.

**ილია ნანოგაშვილი**

# იტალიამდე იტალიასთან

## ახალგაზრდები საევროპო სამზადისში

**1-8 აგვისტოს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოუწევს თამაში, რომელსაც ლატვიის დედაქალაქი რიგა უმასპინძლებს. ქართველებმა შარშან მოახერეხეს A დივიზიონში თავის შემაგრება და დავით უსტიაშვილის გუნდის მიზანი ახლაც ეს იქნება. ჩვენს ნაკრებს ის მოთამაშეები გამოაკლდათ, რომლებმაც 20 წელს გადააბიჯეს, თუმც გუნდმა სათანადო შევსება ვერ მიიღო და რიგაში შედარებით მოკრძალებული ამბიციით ჩავა.**

**ახალგაზრდებს კარგი საჩუქარი მოუმზადა საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ — უსტიაშვილის გუნდი ევროჩემპიონატამდე იტალიაში გასამართ საერთაშორისო ტიურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მასპინძელთა გარდა ქართველების მეტოქეები იქნებიან საბერძნეთის და სლოვენიის მძლავრი ნაკრებები.**

**— ძალიან საჭირო შეკრება იქნება, რისთვისაც კალათბურთის ფედერაციისადმი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის — გვითხრა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა დავით უსტიაშვილმა — ევროპის ჩემპიონატის წინ უდიდეს გამოცდილებას მივიღებთ, შეევთამაშდებით და ლატვიაში გაცილებით მომზადებულები ჩავალთ.**

**— როდის იწყება იტალიური ტურნირი?**

— 16 ივლისს გამთენიისას გავფრინდებით და 18-მდე რამდენიმე ვარჯიშს გავმართავთ. მერე კი ტურნირიც დაიწყება, რომელიც 3 დღეს გასტანს და თბილისშიც დავბრუნდებით.

**— ალბათ ორმაგად მარგებელია, რომ ევროჩემპიონატის უშუალო მეტოქესთან მოგიწევთ სპარინგი...**

— თავისთავად, იტალია რომ ძალიან ძლიერი გუნდია, ამას თქმაც არ უნდა. მათთან თამაში ჩვენ გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს. საერთოდ, ევროპის ჩემპიონატის ჯგუფში ყველა ძლიერი მეტოქეა. იტალიასთან ერთად თურქეთსაც ამბიციური გუნდი ჰყავს და ისრაელიც არ არის ბევრად სუსტი. ებრაელებს ჩვენ შარშანდელ ევროჩემპიონატზეც შევხვდით და საკმაოდ თანაბარ ბრძოლაში წავაგეთ. მათ ჰყავთ ერთი ძალიან პერსპექტიური მოთამაშე ომრი კასპი, რომელიც წლეულს დრაფტზე დგას.

**— ჩვენც გვყავს დრაფტის საგარაუდო მონაწილე — გიორგი შერმადინი. დანარჩენებზე რას იტყვით?**

— შერმადინის ძალიან გვეიმედება. ის აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს იტალიურ მოსამზადებელ ტურნირზე, რათა ჩვენი გუნდის ახალმა წევრებმა მასთან შეთამაშება მოასწრონ. ევროჩემპიონატის 13-ვე მონაწილე შერჩეული გვყავს. ესენი არიან: გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი, ნოდარ შენგელია, ირაკლი პირველაშვილი, ირაკლი ივანეიშვილი, ლევან ცეკვავა, გიორგი გაფრინდაშვილი, ბექა წვიწივაძე, ირაკლი გულისაბედაშვილი, დავით ჯგერენაია, ლუკა ნოზაძე, ზვიად ანთაძე და ირაკლი ფაცაცია. წინა შემადგენლობიდან 1987 წელს დაბადებული 5 მოთამაშე გამოგვაკლდა — ლაშა ფარღალავა, რევაზ დიდია, მიხეილ ჭოჭუა, მიხეილ ბერიშვილი და ლექსო ლაფანაშვილი. ვეცდებით, ეს დანაკლისი ახალწვეულებით ავანაზღაუროთ და ამისთვის მოსამზადებელ პერიოდს მაქსიმალურად გამოვიყენებთ.

**— როდის იწყებთ შეკრებას?**

— 23 ივნისიდან დიღმის ბაზაზე შევიკრიბებით და იტალიაში გამგზავრებამდე იქ მოვემზადებით. ვფიქრობ, დრო საკმარისია და დანარჩენი უშუალოდ ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

**— როგორ გგონიათ, მოახერხებთ A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას?**

— ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ საბრძოლველად მზად ვართ და არც ერთ მოწინააღმდეგეს არაფერს არ დავუთმობთ. 20 წლის ბიჭები უკვე თითქმის ზრდასრულები არიან და ვიცით, რომ ლატვიაში დიდი კალათბური უნდა ვითამაშოთ. იქ არაერთი ისეთი გუნდია, რომელიც ეროვნული ნაკრებების დონეზე თამაშობს. ჩვენი მიზანიც ესაა, რომ ძლიერებთან ბრძოლაში დავამტკიცოთ საკუთარი ძალა. საბოლოოდ რა გამოვა, ძნელი სათქმელია, თუმცა ჩვენ მაქსიმუმს ვეცდებით.

**ირაკლი პერტაია**




გუნდ დოლოდაშვილის ფოტო

NBA პლეი ოფი. ფინალი. მეოთხე მატჩი

# წინაპართა ნაკვალევზე

## მწვანეებმა ლურჯებს წითელი აუნთეს



12 ივნისი. ლოს ანჯელესი

**ბოსტონი 3:1 ლეიკერსი**

**ლეიკერსი 91:98 ბოსტონი**

**35:14 23:26 15:31 18:26**

**ლეიკერსი:** ფიშერი (13), ბრაიანტი (17 ქულა, 10 პასი, 4 ჩაჭრა), რადმანოვიჩი (10), ოდომი (19 ქულა, 10 მოხსნა), გასოლი (17 ქულა, 10 მოხსნა); არიზა (6), ჯუიაჩიჩი (3), ფარმარი (3), უოლტონი (3), ტურიაფი

**ბოსტონი:** რონდო (5), რ. ალენი (19), პირსი (20), გარნეტი (16 ქულა 11 მოხსნა), პერკინსი (2); პოუზი (18), ჰაუსი (11), ბრაუნი (3), პოუი (3), კასელი, ტ. ალენი

როგორც რასელის და ბერდის დროში! ის რაც ხუთშაბათ საღამოს „ბოსტონ სელტიქსმა" გააკეთა, მხოლოდ რწმენით გამარჯვებულს შეეძლო ჩაედინა, მხოლოდ დიდი სულის გუნდს და არა ნებისმიერს, ვისაც საპლეიოფო ბილიკები ფინალამდე მიიყვანს. 24 ქულით აგებდე და მოედნიდან მაინც გამარჯვებული გამოხვიდე! სხვა რაღაა სპორტული გმირობა?

„სელტიქსის" ზოგიერთი დღევანდელი მოთამაშე მაშინ დაიბადა, როცა უკანასკნელი ნამდვილი „კელტი" ლარი ბერდი წასვლაზე ფიქრობდა და მაშინდელი „სელტიქსის" თამაშის ფრაგმენტები თუ ექნება ნანახი, მაგრამ მოცა გამუდმებით ჩაგჩიჩინებენ, რომ უდიდესი გუნდის მაისურა გაცვია და შენს გარშემო ჰაერიც კი მწვანე ფერისაა, გული როგორ მოგცემს დანებების უფლებას.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" მოიგო სერიის მესამე თამაში და იგებდა მეოთხესაც, რის შემდეგაც არგარიშს გაათანაბრებდა. „ბოსტონს" კი ყველაფერი თავიდან ექნებოდა დასაწყები. მაგრამ სამომავლოდ აღარ დაგადო, ეს თამაში ორჯერ დაიწყო და მაინც მოიგო.

მეტოქეებს ჯერ სალამი არ დაემთავრებინათ და ჰიმნის ფონოგრამა არ დასრულებულიყო, რომ „ლეიკერსი" „ბოსტონს" მივარდა და სახლში შემოჭრილი მტერივით კაფვა დაუწყო — ბოსტონში ორი წაგებულის ამოღება ხომ უნდოდა? 9:2, 11:4, 20:6, 26:7, 34:14 — აი ასე „ბარბაროსასავით" მთელი ფრონტით შეუტია „სელტიქსს" „ლეიკერსმა". პირველი მეოთხედი რომ დასრულდა, ტაბლოზე მასპინძელთა 21 ქულიანი უპირატესობა ყვიროდა და ბრძოლა ფაქტობრივად დასრულებული იყო, სერიაში კი ანგარიში გათანაბრებული.

„კელტებმა" მეორე მეოთხედში რომ გაიბრძოლეს, კიდევ შერჩენიათ ამათ წინააღმდეობის გაწევის სურვილიო და, საშა ვუიჩიჩმა სამიანით 24 ქულამდე დახია სტუმრები — 45:21. „ბოსტონის" ადგილზე ალბათ ნებისმიერი გუნდი ხელებს ჩამოუშვებდა, ფეხს აითრევდა და შემდეგი თამაშისთვის ბრძოლის ტაქტიკაზე ფიქრში უდრტვინველად ჩათამაშებდა დარჩენილ 30-იოდ წუთს. მაგრამ „კელტებმა", ისევ როგორც მათმა წინაპრებმა დანებება არ იკადრეს. ზამბარასავით შეკუმშულები ჟღრიალით გაიშალნენ და ერთი ნახტომით დაფარეს ჩამორჩენის ნახევარი. თანაგუნდელებს კევინ გარნეტმა ზუსტი ორიანით მისცა მაგალითი. ვლად რადმანოვიჩს სამიანი გაუცუდდა, რეი ალენმა კი ჩააგდო და ჩამორჩენა 19 ქულამდე შეამცირა. „ბოსტონის" სათადარიგო ფორვარდმა ჯეიმს პოუზიმ კი — ამას თურმე რამდენი შესძლებია და — ზედიზედ ორი საჯარიმო და ერთი სამქულიანი მოინადირა. იქვე თავისი „წილი" პოლ პირსმაც ჩააგდო და გამოვიდა, რომ „სელტიქსმა" ზუსტად ორი წუთი მოანდომა 24-ქულიანი ჩამორჩენის განახევრებას.

„ლეიკერსმა" მალე დააღწია თავი შოკურ მდგომარეობას, ტაიმის დარჩენილი სამი წუთი ფიშერის და გასოლის მეცადინეობით 13:7 იძალა და დიდ შესვენებაზე 18-ქულიანი უპირატესობით გავიდა, მაგრამ უკვე ყველა მიმხვდარიყო, რომ თამაში ჯერ არ დასრულებულიყო და მთავარი ბრძოლა წინ ელოდათ მოტოქეებს.

მეორე ტაიმში გარნეტმა და პირსმა სწრაფი ოთხი ქულა გაშანსეს (-14), მერე კი ისევ 12 ქულამდე მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ „ლეიკერსმა" ისევ ძალუმად გაიწია და 20 ქულით გაიქცა. ყველანაირი შემართების დათრგუნვა შეიძლება და „ლეიკერსს" თითქოს გამოსდიოდა კიდეც ბოსტონურ ცეცხლზე წყლის გადასხმა, მაგრამ...

50:70 ჩამორჩენილმა „ბოსტონმა" კიდევ ერთი შტურმი წამოიწყო და 11:2 გაიქცა, შემდეგ კი გასოლს ორი საჯარიმოდან ერთი რომ აუცდა, სტუმრებმა ისევ შეკრეს დაცვა და მესამე მეოთხედის ბოლო ორი წუთი 10:0 წალეკეს შეტევისას ბოსტონურ ქსელში აბლანდული მასპინძლები — 73:71.

„ლეიკერსს" ბოლო მეოთხედისთვის ორქულიანი უპირატესობა კი შერჩა, მაგრამ მისი ყველაზე ოპტიმისტი ჰოლივუდელი ფანიც კი ვერ დაარქმევდა ამას უპირატესობას. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ „ლეიკერსი" მას ვერ შეინარჩუნებდა.

მასპინძლებს კარგა ხნის წინ დაეკარგათ შათამაშო რიხი, მაგრამ ინერციით მაინც ახერხებდნენ რაღაცას. ამერიკული შედარება რომ მოვიყვანოთ, „ლეიკერსი" გალახული მოკრივესავით ირჯებოდა და ხელხლართვებით გაჰყავდა დრო. მაგრამ აი, ბოსტონელთა ძირითადი გამთამაშებელის, პირველ ტაიმში დაშავებული რაჯონ რონდოს მშვენივრად შემცვლელმა ედი ჰაუსმა ორიანით დააწინაურა თავისი გუნდი და ბოლო ოთხ წუთში „კელტებს" უკან აღარ მოუხედიათ, პირველ ტაიმში წაგებული თამაში მეორეში მოიგეს და სერიაშიც 3:1 დაწინაურდნენ.

„ბოსტონი" რომ ჩემპიონი გახდება, ამაში ეჭვი მხოლოდ ძალიან ჯიუტებს ეპარებათ. „ლეიკერსის" მწვრთნელი ფილ ჯეკსონი შეშლილივით კი იმეორებდა — ჯერ არაფერი დამთავრებულა-ჯერ არაფერი დამთავრებულაო, მაგრამ საპლეიოფო სერიაში ჯერ არცერთ გუნდს არ დაუძლევია ამხელა ჩამორჩენა და საეჭვოა, მისმა გუნდმა მოახერხოს. მით უმეტეს, „ბოსტონის" დაცვასთან ეს ნამდვილად შეუძლებელი ჩანს.

**ირაკლი ფირაყვილი**

# სანამ უიმბლდონის ბალახი ამოიწვერება

**კაცები**
ქუინზი. ინგლისი. ბალახი
საპრიზო 713 000 ევრო

**მეოთხედფინალი**

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — **ივო კარლოვიჩი** (8, ხორვატია) **6:7 7:6 7:6**

**კაცები**
ჰალე. გერმანია. ბალახი
საპრიზო 713 000 ევრო

**მეოთხედფინალი**

**ნიკლას კიფერი** (გერმანია) — **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) **4:0** (უარი); **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) **6:4 7:6**; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **მარკოს ბალდატისი** (5, კვიპროსი) **6:4 6:4**

**კაცები**
ვარშავა. პოლონეთი. თიხნარი
საპრიზო 425 250 ევრო

**მეოთხედფინალი**

**ნიკოლაი დავიდენკო** (1, რუსეთი) — **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) **6:4 6:2**; **ფაბიო ფონინი** (იტალია) — **გილერმო კანასი** (არგენტინა) **7:5 7:5**; **ხუან მონაკო** (3, არგენტინა) — **მარსელ გრანოლერს-პუიოლი** (ესპანეთი) **6:4 6:3**

**ქალები**
ბირმინჰემი. ინგლისი. ბალახი
საპრიზო 200 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**იანიკა ვიკმაიერი** (ბელგია) — **მელანი საუთი** (ბრიტანეთი) **6:4 6:3**; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — **ნიკოლ ვაიდიშოვა** (3, ჩეხეთი) **6:3 6:0**; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — **პეტრა ცეტკოვსკა** (ჩეხეთი) **7:6 6:2**

**ქალები**
ბარსელონა. ესპანეთი. თიხნარი
საპრიზო 145 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**მარია მარტინესი** (ესპანეთი) — **ლუსი შაფაროვა** (4, ჩეხეთი) **6:2 4:1** (უარი); **სტეფანი კოენ-ალორო** (საფრანგეთი) — **ეკატერინა ივანოვა** (რუსეთი) **6:2 6:1**; **ნურია ლაგოსტერა ვივესი** (ესპანეთი) — **სარა ერანი** (6, იტალია) **2:6 6:2 6:3**

გრძელდება მზადება უიმბლდონისთვის, რომელიც სულ რაღაც 8 დღეში დაიწყება. ამიტომ ჩოგბურთელებიც ყველაფერს აკეთებენ ახალ საფართან შესაგუებლად, თუმც თვენახევრის განმავლობაში თიხნარზე ნარბენ-ნაომარი მეჩოგნეებს ეს მაინც ძალიან უჭირთ.

ტურნირების მიმოხილვა ისევ ქუინზით დავიწყოთ, სადაც ძალიან დაძაბული და ლამაზი მეოთხედფინალი გაიმართა რაფაელ ნადალსა და ივო კარლოვიჩს შორის. ეს იყო ბალახისთვის დამახასიათებელი ტიპური ჯვახი, როცა მეჩოგნეები მაქსიმალურად კარგად იყენებდნენ საკუთარი მოწოდების უპირატესობას და უჭირდათ მიღებაზე თამაში. ასე განსაჯეთ, შეხვედრაში არც ერთი ბრეიკი არ გაკეთებულა და თუ ეს კარლოვიჩისგან გასაკვირი სულაც არ ყოფილა, რადგანაც ის მიღებაზე ისედაც არ უჭნია ღმერთს, ნადალისგან მეტოქის მოწოდებაზე ასე სუსტი თამაში დიახაც რომ სიურპრიზი იყო. თუმც ნურც ესპანელს განვსჯით მაინდამაინც, რადგანაც აყლაყუდა ხორვატი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ მოწოდებას ფლობს და თუ ფორმაშია, ისეთი სიძლიერით უხათქუნებს ხოლმე ბურთს, რომ მოგერიება კი არა, თვალის გაყოლებაც ძნელდება.

სამივე სეტის ბედი ტაიბრეიკებზე სწორედ ამიტომაც გადაწყდა და თუ პირველში კარლოვიჩმა იხეირა, მომდევნო ორში ნადალმა მოახერხა მეტოქის გატეხვა და ორსათნახევრიანი ომის შემდეგ ნახევარფინალის საგზურიც გაინაღდა. ერთი ეგაა, რომ ესპანელი საკმაოდ გადაღლილია, რაკი წინა დღითაც კეი ნიშიკორისთანაც გაწვალდა. ესპანელმა იაპონელის ძლევასაც ორ საათზე მეტი შეალია, რის გამოც ნახევარფინალში ფრიად უნდა გაუჭირდეს.



რაფაელ ნადალი

ნიკოლას კიფერი

ჰალეში კი ადგილობრივთა გასახარად მასპინძლები ყოჩაღობენ — საუკეთესო ოთხეულში ადგილი ორმა გერმანელმა დაიბევა. ნიკლას კიფერს საამისოდ ხეირიანად გახურებაც კი არ დასჭირვებია, რადგანაც ოთხი გეიმის შემდეგ ფლორენ სერამ თეთრი დროშა გამოფინა, აქაოდა, უიმბლდონის წინ ამ ტრავმიანი ფეხით სირბილს არ ვაპირებ, ეგებ მანამდე ჯანზეც მოვიდეო.

აი, ფილიპ კოლშრაიბერს დიდი ბრძოლა გადახდა რობინ სოდერლინგთან. ეს მოულოდნელი არ ყოფილა, რადგანაც შვედი ბოლო თვეებში ძალიან კარგ ფორმაშია და ნებისმიერი მეჩოგნისთვის სახიფათო ძალას წარმოადგენს. ეგ კი არა, ამ მატჩის ფავორიტად სულაც ვიკინგი მიიჩნეოდა, მაგრამ ტრიბუნების ბღავილით შეგულიანებულმა კოლშრაიბერმა პირველ სეტში ერთხელ დაბრეიკა მეტოქე, მეორეში კი უკვე ტაიბრეიკზე გაუსწორდა და ნახევარფინალსაც ასე უწია.

უხასიათობას არ უჩივის როჯერ ფედერერიც, რომელიც უიმბლდონისთვის ხეირიან ფორმაში შედის და მთლიანად ინგლისის ბალახის ჩოგბურთისა და კრიკეტის კლუბის კორტებზე ზედიზედ მეექვსე ტრიუმფის გადასახდელად ემზადება. ალპელი მართლაც ძალიან დამაჯერებლად ჩოგნაობს და ავერ ჰალეში ნახევარფინალს სრულიად უპრობლემოდ უწია, როცა გუშინ არცთუ სუსტი მარკოს ბალდატისი წყნარად გადათელა.

ბალახიდან თიხნარზე გადავინაცვლოთ, ანუ ვარშავას მივაპყროთ მზერა, სადაც ტიტულისკენ გამეტებით მიიწევს ნიკოლაი დავიდენკო. მოსკოველმა გუშინ თავისიანიც არ დაინდო და ევგენი კოროლიოვს სულ რაღაც ექვსი გეიმი დაუთმო. რუსს არც ფინალში გასვლა უნდა გაუჭირდეს, რადგანაც კლასით გაცილებით სუსტ ფაბიო ფონინის ხვდება. ამ იტალიელმა გილერმო კანასის წაქცევით გუშინ სენსაცია კი გამოაცხო, მაგრამ საეჭვოა, იგივე ნომერმა დავიდენკოსთანაც გაამართლოს.

ქალთა ჩოგბურთის ამბებიდან კი მთავარი ისაა, რომ ერთი კვირის წინ „როლან გაროსის" მომგებმა ანა ივანოვიჩმა წინა საიუიმბლდონი მზადების გეგმა შეცვლა — გახურების მიზნით სერბ ლამაზმანს ისტბურნში უნდა ეთამაშა, მაგრამ მოულოდნელად აღმოსავლეთ ინგლისში თამაშზე უარი თქვა. სხვათა შორის, ასეთივე გადაწყვეტილება ოდნავ ადრე მიიღო კარს მომდგარი სლემტურნირის კიდევ ერთმა ფავორიტმა მარია შარაპოვამ.

ახლა კი კორტებზე დატრიალებულ ამბებს მივუბრუნდეთ. ბირმინგემის პირველ ნომერ მარიონ ბარტოლის გამგდებ პეტრა ცეტკოვსკას ზეიმი მალევე ჩაუშხამა კატერინა ბონდარენკომ და ჩეხი ტურნირიდან დაითხოვა. სახლის გზას გაუეყენეს მეორე ჩეხიც, ნიკოლ ვაიდიშოვა, რომელიც წლეულს ვერაფრით ვერ ახერხებს გადაბმით რამდენიმე თამაშის მოგებას.

ბარსელონაში კი თიხნარის მოყვარულები შეკრებილან და იქაური ამბებიდან მთავარი ლუსი შაფაროვას მარცხი გახლდათ, რომელიც მასპინძლემა მარია მარტინესმა დაიფრინა. შედეგად ტურნირს მხოლოდ ერთი განთესილიღა შემორჩა მარია კირილენკოს სახით.

**კახა ლომაშვილი**


**AMERITECH-ის აქცია**
**ევრო 2008 JVC-თან ერთად!**

JVC
The Perfect Experience

UEFA EURO2008
Austria-Switzerland



ამერიტექი AMERITECH

**აქციის 1 ივნისიდან 1 ივლისამდე**

შეიძინე ტექნიკა Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC–თან ერთად" მონაწილე!

**აქციის I** ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008–ის და JVC-ის სიმბოლიკით.

**აქციის II** დააგროვე 1500 გოლი – ამოირჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10–ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ–ერთი.

**აქციის III** დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარულ სპორტ კაფეში ევრო 2008–ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

**1 ლარი = 1 ფოლგა**

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
აღმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა–ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;
სპორტის ცენტრი: ი.ჭავჭავაძის 13/15, ტელ.: 31 32 52



**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი**
**თანაგრძნობას უცხადებს ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ლერი ხაბელოვს**
**დეიდის**
**გარდაცვალების გამო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეკორდების წვიმა

## რობლესმა მილიარდნახევარს 0,01 მოუჭრა

**ᲕᲘᲜᲐ** თქვა, კაცობრიობა თავისი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს უახლოვდება და სპორტსმენები მალე რეკორდებს ვეღარ დაამყარებენო? კი ვიცით, ვინც თქვა, ფრანგი მედიკოს-მეცნიერები იყვნენ და მათ ადამის მოდგმას კიდევ ნახევარი საუკუნე მისცეს რეკორდებისთვის, თან გააფრხილეს, 50 წლის მერე სრულად ამოწურავთ ადამიანის ორგანიზმში ჩაბუდებულ მარაგს და აღარაფერი გამოგივათო.

არავინ იცის, რას შეძლებს ადამიანი 50 წლის შემდეგ. მაგრამ სამძლეოსნო და თუნდაც საცურაო სამყარო დღეს რეკორდების სიმცირეს ნამდვილად არ უჩივიან, ასე რომ შესაძლებლობების ძღვართან მიახლოებაზე პანიკური საუბრები ცოტა ნაადრევი უნდა იყოს. თანაც რეკორდები ისეთ სახეობებში მყარდება, სადაც მთელი ასი წელია ზღვა ხალხი წვალობს და რეზერვი თითქოს მართლაც ამუწურული უნდა იყოს. აგერ, 100 მეტრზე სპრინტში უსაინ ბოლტმა 9,72 აჩვენა და ასაფა პაუელის ჯერაც თბილი რეკორდი მოხსნა.

12 ივნისს ჩეხეთის ჭეშმარიტად სამძლეოსნო ქალაქ ოსტრავაში კიდევ ერთი მგრგვინავი რეკორდი დაემხო. 110 მეტრზე თარჯრბენში კუბელმა დერონ რობლესმა 12,87 შედეგი გაისროდა და ჩინელი ლიუ სიანის რეკორდს წამის ერთი მეასედი ჩამოაჭრა.

## დერონ რობლესი 12,87!

რობლესი მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ უკვე ორი წელია მთავარ არენებზე გამოდის. რაც გამოჩნდა, მუდამ ღირს წინააღმდეგობას უწევდა ლიუ სიანსაც და სხვებსაც, ახლა კი გაიზარდა და ვნახოთ, ძველები როგორ წინააღმდეგობას გაუწევენ. ოსტრავაში ის ეჯიბრებოდა ორგზის ოლიმპიურ ვერცხლის მედალოსანს, ამერიკელ ტერენს ტრამელს და უკვე მერვე თარჯზე მეტრნახევარით გაასწრო.

„ისე მიიწევდა, რომ დისტანციის ნახევარზე ვუთხარი საკუთარ თავს „დაივიწყე-მეთქი“. არადა მართლა კარგი სტარტი მქონდა და ძალიან გამიკვირდა, ასე ადრეულადვე რომ ჩამიქროლა“ — გულწრფელად გაოცებილი საუბრობდა ტრამელი, ვინაც თავის მხრივ 13,21 წამში მოიტოვა 10 თარჯით დამძიმებული 110 მეტრი და კარგა მეოთხედი წამითაც აჯობა მესამეადგილოსანს.

და რა განცდებში იქნებოდა ახალგამომცხვარი რეკორდსმენი? „ფინიშზე რომ შევედი, უკვე ვიცოდი, რომ პირად რეკორდს, 12,92 წამს გავაუმჯობესებდი, მაგრამ შედეგი რომ დავინახე, ენა ჩამივარდა. ეს იყო შოკი! — გაციებულ გულზე ყვებოდა ზორბა კუბელი — მერე აზრზე რომ მოვედი და სიტყვიერად წარმოვთქვი ‚87! ხელმეორედ გადავირიე.“

კუბელი რომ სიხარულის მეშვიდე ცაზეა, გასაგებია. და, ნეტა ექსრეკორდსმენი რაღას ფიქრობს? ლიუ სიანმა შარშან ლოზანას გრან-პრიზე რომ დაამყარა 12,88-წამიანი რეკორდი, ერთი საათი ხომ სიხარულით იხტუნავა და მერე დასვენება ლამის ერთი წელი გაუგრძელდა. იშვიათად გადიოდა დიდრონ ტურნირებზე, ალბათ მიღწეულით ტკბობას აცდიდა საკუთარ თავს, მაგრამ, ასე ვთქვათ, ჯერ ცხოვრებას ჩამორჩა, მერე კი აგერ, სხვა დაეწია. 2008 წელს ჩინელი საერთოდ არ გამოჩენილა სარბენ ბილიკზე და რეკორდთან ერთად დაკარგა ფავორიტის სტატუსიც მოახლოებული პეკინის ოლიმპიადისთვის. არადა, ჩინელები მძლეოსნობაში მისგან თუ გეგმავენ უეჭველ ოქსოს, თორემ სხვები მაინცდამაინც ვერ უკაშკაშებთ.

ზემოთ სასხვათაშორისოდ ვახსენეთ 100 მეტრის ახალი რეკორდსმენი უსაინ ბოლტი. ისიც ოსტრავაში იყო და მანაც გადასარევად ირბინა. ამ ჯერზე იამაიკელმა 200 მეტრი დაიპყრო — მთლად რეკორდი ვეღარ დაამყარა (მართლა ჰეპარდი ხომ არაა), მაგრამ ნახევარწრიანი დისტანცია 19,83 წამში დაფარა და სეზონის საუკეთესო შედეგი გააფიქსირა წლეულს თავის პირველივე ცდაზე. თუ რამდენად კარგი იყო ბოლტი, ეს ჩანს მისი და მეორეადგილოსანის, ზიმბაბველი ბრაიან ძინგაის შედეგთა (20,19) შედარებით

„200 მეტრზე ეს ჩემი მეორე შედეგია და ცხადია, ძალიან კმაყოფილი ვარ — ამბობდა ბოლტი — ახლა შინ დავბრუნდები და გავაგრძელებ იამაიკის შიდა ჩემპიონატისთვის მზადებას. ხოლო პეკინში 100 მეტრს ვირბენ თუ 200-ს, ამას ამ ჩემპიონატის შემდეგ მოვიფიქრებ. არც ისაა გამორიცხული, ოლიმპიადაზე ორივე ვირბინო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მართლა კარგ ფორმაში ვიქნები.“

ოსტრავაში დამყარდა კიდევ ერთი რეკორდი, ოღონდ არაოლიმპიურ სამძლეოსნო სახეობაში — ერთსაათიან სირბილიში. შარშან ამავ სტადიონზე ეს რეკორდი კაცთა შორის დაამყარა დიდმა ეთიოპიელმა ჰაილე გებრსელასიემ, წლეულს კი ჰაილეს თანამემამულე ქალმა დირე ტუნემ აუბა მხარი და ბოსტონის მარათონის მოგების შემდეგ მეორე ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა. ტუნემ 60 წუთში გაირბინა 18 კილომეტრი და 517 მეტრი და თელგა ლორიპეს 10 წლის წინანდელ რეკორდს 177 მეტრი დაამატა.

„ძალიან მიხარია, რომ ეს მე შევძელი და თანაც ამ სტადიონზე — ხარობდა 23 წლის ტუნე — შარშან ჰაილემაც ხომ აქ დაამყარა თავისი რეკორდი. ეს ბილიკი ჩვენთვის ძალზე იღბლიანია, ხოლო მაყურებელი ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე.“

**ᲕᲐᲜᲝ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲑᲣᲑᲙᲐᲡ ᲨᲔᲔᲮᲜᲔᲜ

## ᲛᲣᲢᲝᲚᲐ ᲣᲝᲚᲙᲔᲠᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

**ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲛᲝᲛᲭᲠᲔᲚ** სპორტულ სანახაობას დაჩვეული ამერიკელი მაყურებლისთვის მძლეოსნობა იქნებ ვერ ედრებოდეს იქაურ ფეხბურთს, ბეისბოლს ანაც ინდიკარს, მაგრამ ზოგიერთი ტურნირი მაინც არ უჩივის ტრიბუნათა სიცარიელეს. ამერიკული მძლეოსნობის ლეგენდის სტივ პრეფონტეინის სახელობის ტურნირი ორეგონის შტატის პროვინციულ ქალაქ იუჯინში ათასობით მაყურებელს იკრებს და მას არც ნამდვილი ვარსკვლავები აკლია-ხოლმე.

წლევანდელ „პრეფონტეინ კლასიკზე“ მისულმა 15 ათასმა ორეგონელმა არაერთი გამორჩეული მძლეოსანი და შედეგი იხილა. დღის გმირი კი ამერიკელი ჭოკით მხტომელი კაცი ბრედ უოლკერი გახდა, რომელმაც ამერიკის რეკორდი დაამხო. იუჯინში იყვნენ კენისა ბეკელე, მესერეტ დეფარი, მარია მუტოლა, გეტელე ბურკა, ტორი ედვარდსი, ვოლეს სპირმონი... მაგრამ ჯერ უოლესის ამბავი ვთქვათ.

1994 წელს უკრაინელი სერგეი ბუბკა 6 მეტრზე და 14 სანტიმეტრზე შემოგებულ თამასას რომ გადაევლო, მას შემდეგ მსოფლიო ქვევიდან შესცქერის მის ზღაპრულ შედეგებს და ექვსი მეტრის დაძლევაც დიდ მიღწევად ეთვლებათ მის მემკვიდრეებს. იუჯინში კი უოლკერმა 6,04-მეტრიანი სიმაღლე აიღო და ბუბკას, ცხადია, ვერაფერი დააკლო, მაგრამ 2000 წელს დამყარებული სამამულო რეკორდი კი ჩამოართვა ჯეფ ჰარტვიგს, რომელიც სხვათა შორის იქვე იყო და მიუხედავად იმისა, რომ უკვე 40 წლისა მოყრილა, შვილის ტოლებს მაინც ყოჩაღად ეჯიბრება. ახლაც ჰარტვიგი საპატიო მესამე ადგილზე გავიდა.

დღის მთავარმა პერსონაჟმა უოლკერმა კი მოხუცს პატივი მიაგო — ჰარტვიგის ცქერაში გავიზარდე და ფრენის ბევრი ილეთიც მისგან ვისწავლეო.

ჰარტვიგი წარსულში დავტოვოთ და, მომავალი ალბათ უოლკერისა იქნება. 2001 წლის შემდეგ მისებრ მყვირალა შედეგი არავის უჩვენებია და ამერიკელი მეჭოკე პეკინში გამოკვეთილი ფავორიტის სტატუსით ჩავა.

ამერიკის რეკორდი რომ დაამხო, უოლკერმა მსოფლიოსაზეც გაიწია, მაგრამ ეს მხოლოდ შოუს ნაწილი იყო. თავადაც მშვენივრად იცოდა, რომ ვერ დაძლევდა დიდის ამბით შეკვეთილ 6,16 მეტრს. მაყურებელს ტაშიც დააკვრევინა, აქაოდა, გამამხნევეთო, ორი უშედეგო ცდის მერე კი თავად დაუკრა ტაში და კულისებს მიაშურა.

ტაში არ მოაკლდა მარია მუტოლასაც. მოზამბიკელი ძუ ავაზა იუჯინში ცხოვრობს და ვარჯიშობს. აქედან გავიდა „ხალხში“ და გახდა ცხობილი, მეორე სახლად დამკვიდრებულ იუჯინს კი არ ივიწყებს და „პრეფონტეინ კლასიკი“ ერთხელაც არ გამოუტოვებია. ახლა ზედიზედ მე-16-ედ მოიგო თავისი წილი 800 მეტრი 1.59,24 შედეგით. იქაურებსაც ისე უყვართ, რომ ჯილდოდ დაწესებული ტურნირის გამორჩეული ათლეტის პრიზი სწორედ მუტოლას სახელობისაა და წლეულს ის, რაღა თქმა უნდა, ბრედ უოლკერს შეხვდა.

თავი არც ერთ ვარსკვლავს არ შეურცხვენია, მაგრამ კენენისა ბეკელემ მაინც დანარჩენებზე მეტად გაიბრწყინა. 10 კილომეტრის მეფემ ეს დისტანცია 26 წუთსა და 26 წამში ჩაატია და პუბლიკას თავი ყველა დროის მეოთხე შედეგით მოაწონა.

**ᲕᲐᲜᲝ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲘᲐᲠᲔᲡ, ᲘᲐᲠᲔᲡ...

**ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ** სიარული აბა, სირბილთან რა მოსატანია, მაგრამ რაკი ოლიმპიური დისტანციაა და რეკორდები აქაც აღირიცხება, ოროდ სიტყვა ვთქვათ.

რამდენიმე დღის წინ სარანსკში გამართულ რუსეთის შიდა ჩემპიონატში მსოფლიო რეკორდი დამყარდა 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. 20 წლის რუსი მოსიარულე სერგეი მოროზოვი 1 საათი, 16 წუთი და 43 წამი მიდიოდა რეკორდისკენ და 33 წამით აჯობა კიდეც ძველ რეკორდს. სხვათა შორის, ექსრეკორდსმენი, ასევე რუსი ვლადიმირ კარიაკინიც სარანსკში „დადიოდა“ და ცხოვრებაში პირველად ჩამოსცდა კიდეც საათიან და 17-წუთიან ბარიერს, ოღონდ სულ ტყუილად დაშვრა, მაინც დაუგვიანდა.



# კავკასიაში თურქეთი პირველობით შემოვიდა

**1 ივნისს** მუხიანში „კავკასიის ეტაპის“ ბოლო, მეოთხე ტური გაიმართა. რბოლა კრიტერიუმში პირველი ადგილი თურქმა ორხან შაჰინმა დაიკავა — 45.25. მეორეზე ასევე თურქი მირაკ კალი გავიდა, რომელიც რამდენიმე მეასედი წამით ჩამორჩა თანამემამულეს. მესამე ადგილს კი ქართველი გიორგი ნადირაძე დაეუფლა. იგი მცირედით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასულს. როგორც მოგახსენეთ, „კავკასიის ეტაპი“ მეოთხე ტურით დასრულდა და საუკეთესო მაჩვენებლები ნაზიმ ხალცილცს (პირველი ადგილი), ეკიბ კარაგობეკს (მეორე ადგილი), მირაკ კალის (მესამე ადგილი) და გიორგი ნადირაძეს ჰქონდათ.

საპრიზო სამეული მთლიანად თურქმა ველომრბოლებმა შეადგინეს, ხოლო მეოთხე ადგილოსანი გიორგი ნადირაძე ერთადერთი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც ტურნირზე ორი ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო.

საერთო გუნდურ ჩათვლაში უპირობოდ გაიმარჯვა თურქეთის გუნდმა. მეორე ადგილზე საქართველო გავიდა, ხოლო აზერბაიჯანი მესამეობას დასჯერდა.

**ზურაბ მიგრიაული**



# უცხოელები ჯილდოებით აივსნენ

## კანადელებმა თავი ბროდოთი დაიმშვიდეს

**გუშინ**, გამთენიისას, ტორონტოში სეზონის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელეს და პრიზებიც ჩამოურიგეს. ოღონდ ნუ გაგიკვირდეთ, თუ თვალს ვერ მოჰკრავთ პლეი ოფში თავგამოჩენილ ხალხს, რადგანაც გუშინ საუკეთესოები მხოლოდ რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გამოავლინეს.

დღის მთავარ ვარსკვლავად „ვაშინგტონის“ თავდასხმელი ალექსანდერ ოვეჩკინი იქცა, რაც მთლიანობაში მოსალოდნელიც იყო. რუსს ორი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო გადაეცა — „ჰარტ ტროფი“, როგორც ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს და „ლესტერ პირსონ ევარდი“, როგორც ჰოკეისტს, რომელიც კოლეგებმა აღიარეს საუკეთესოდ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ოვეჩკინი გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, როგორც ჟურნალისტებმა და ნჰლ-ის გუნდების გენერალურმა მენეჯერებმა, ისე თავად ჰოკეისტებმაც.

ოვეჩკინის ასეთი წარმატება არავის გაჰკვირვებია, რადგანაც რუსმა მართლაც ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა — ბოლოს და ბოლოს მან მოიგო, როგორც სნაიპერთა (65 შაიბა), ისე ბომბარდირთა (112 ქულა) დავები. ამასთანავე ის პირველ ჰოკეისტად იქცა 1996 წლის შემდეგ, ვინც სეზონში 60 გოლზე მეტი შეაგდო და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ასეთი აღიარება მოიპოვა.

„ამწუთას მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ. ჩემი მიზანი ყველანაირი ჯილდოს მოგებაა, ასე რომ, ჯერი სტენლის თასზეა“ — განაცხადა ოვეჩკინმა, რომელიც მეორე რუსი ჰოკეისტია, სეზონის უძვირფასესად რომ დაასახელეს. პირველად კი ეს პატივი სერგეი ფიოდოროვს ერგო 1994 წელს.

„ვაშინგტონი“ ტორონტოდან მხოლოდ ოვეჩკინის პრიზებით დატვირთული როდი წავიდა, რადგანაც „დედაქალაქელთა“ დამრიგებელი ბრიუს ბოდრო წლის მწვრთნელად დაასახელეს და „ჯეკ ადამს ტროფიც“ გადასცეს. ამ კაცმა ნოემბერში ჩემპიონატის ერთ-ერთი მაჩანჩალა ჩაიბარა, მაგრამ ამის მიუხედავად გუნდი მაინც გაიყვანა პლეი ოფში, სადაც „ვაშინგტონს“ 2003 წლის შემდეგ ფეხიც არ შეედგა.

ბოდრომ „მონრეალის“ დამრიგებელ გი კარბონოსა და სეზონის საუკეთესო გუნდ „დეტროიტის“ თავკაც მაიკ ბებკოკს აჯობა.

„ნამდვილად სიურპრიზი იყო. მე პირადად იმ კაცს დავასახელებდი, ვინც სტენლის თასი მოიგო. საბედნიეროდ, არავინ არაფერს დამეკითხა“ — იხუმრა ნამატჩევს ბოდრომ.

პრიზების გარეშე არ დარჩენილა ათიოდე დღის წინ სტენლის თასის მომგები „დეტროიტიც“. შეიძლება იკითხოთ, აკი პლეი ოფის შედეგები არ ითვლებაო — ეს ასეა, მაგრამ მიჩიგანელებმა ხომ რეგულარულ ჩემპიონატშიც იმარჯვეს. ამიტომაც გუშინ ლაურეატებს შორის იყვნენ ნიკლას ლიდსტრიომი და პაველ დაციუკი.

ლიდსტრიომმა სეზონის საუკეთესო მცველის ტიტული, „ნორის ტროფი“ მოიგო. რადგანაც მან ჩემპიონატში მცველებს შორის ყველაზე მეტი ქულა (70) დააგროვა და ყველა ჰოკეისტს შორის მეორე იყო სარგებლიანობის მხრივ (+40), გასაკვირი არაა, რომ ამ პრიზის ღირსად თითქმის ერთპიროვნულად მიიჩნიეს — 132 ჟურნალისტიდან 127-მა „წითელფრთიანთა“ კაპიტანი აირჩია, რომელმაც „კალგარელ“ დიონ ფანიოფსა და „ბოსტონელ“ ზდენო ხარას აჯობა. თან შვედმა ისტორიაშიც შედგა ფეხი, რადგანაც ეს მისთვის უკვე მეექვსე „ნორისია“ და ამ მაჩვენებლით მას მხოლოდ ორი ლეგენდა — ბობი ორი (8) და დუგ ჰარვი (7) უსწრებენ.

დაციუკი კი ზედიზედ მესამედ ლიგის მთავარ ჯენტლმენად ცნეს და „ლედი ბინგ ტროფი“ გადასცეს. გარდა ამისა, რუსი დაცვითი ჰლანის საუკეთესო თავდასხმელადაც („სელკე ტროფი“) აღიარეს და სამართლიანადაც — ჩემპიონატში იგი სარგებლიანობის მხრივ პირველი იყო (+41) და ამასთან ერთად მის ანგარიშზე 144 ჩაჭრა გახლდათ, რაც 67 პროცენტით (!) მეტია ამ მაჩვენებელში უახლოეს მდევარ მაიკ მოდანოსთან შედარებით. ასე რომ, დაციუკი გუშინ ნიუჯერსელ ჯონ მედენსა და თანაგუნდელ ჰენრიკ ზეტებერგს ულაპარაკოდ ამჯობინეს.

საუკეთესო მეკარის ტიტული („ვეზინა ტორფი“) „ნიუ ჯერსის“ კიპერ მარტინ ბროდოს ერგო, რომელმაც ეს პრიზი ბოლო ხუთ წელიწადში მეოთხედ მოიგო. ისე, ბროდოს აღიარება ცოტა მოულოდნელი იყო, რადგანაც, ბევრის აზრით, რეინჯერსელ ჰენრიკ ლუნდკვისტსა და სან ხოსელ ევგენი ნაბოკოვს უკეთესი თუ არა, ბროდოზე არანაკლები სეზონები ჰქონდათ. თუმც უცხოელებმა იმდენი პრიზები დაიტაცეს რომ კანადელებმა ვერ მოითმინეს და ერთი ჯილდო თავისიანისაც მიართვეს.

„ბილ მასტერსონ ტროფი“ ანუ ჰოკეისადმი თავდადების პრიზი „ტორონტოს“ თავდასხმელ ჯეისონ ბლეიკს გადასცეს. მას შარშან ლეიკიმია აღმოაჩნდა, მაგრამ ამის მიუხედავად, კინკილა თამაშიც კი არ გამოუტოვია.

„ტამპელ“ ვენსან ლეკავალიეს „კინგ კლენსი ტროფი“ გადასცეს, როგორც ჰოკეისტს, რომელიც ლიდერულ თვისებებს ამჟღავნებს ყინულზე და მის მიღმაც და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოირჩევა— ლეკავალიემ ეს პრიზი იმით დაიმსახურა, რომ შარშან მილიონი გადასცა „ბაშეთა [illegible] სთან მებრძოლ ერთ-ერთ [illegible] დულ სამედიცინო ცენტრს.

**ქაჯა ლომაშვილი**

ალექსანდრ ოვეჩკინი

ნიკლას ლიდსტრიომი



# სამბო შეჯამდა

**გუშინ** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის სხდომა ჩატარდა, სადაც მიმდინარე სეზონის შედეგები განიხილეს და ასევე სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. სამბოს ეროვნული ფედერაციის მიერ 2008 წლის სპორტული გეგმის ნახევარი წლის მუშაობის შესახებ კი ჟურნალისტებთან კომენტარები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გოგუაძემ და სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ოლეგ იაძემ გააკეთეს.

*ოლეგ იაძე:* „ამ ნახევარი სეზონის განმავლობაში ჩვენმა სამბისტებმა დიდებში 2 ოქროს, 1 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს; ახალგაზრდებში 2 ოქროს 2 ვერცხლის, 4 ბრინჯაოს; ჭაბუკებში კი 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. დამეთანხმებით, რომ ამ რაოდენობის მედლების აღება ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. ასევე ჩვენმა ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატსაც უმასპინძლა. საქართველოში ასეთი რანგის ტურნირები იშვიათად ტარდება და ვფიქრობ, საამაყოა, რომ ამ საქმეს ასე თუ ისე თავი გავართვით.“

*გიორგი გოგუაძე:* „მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც სამბოშია ჩართული და დაუღალავად შრომობს. სპორტსმენთა შედეგები დამაკმაყოფილებელია და მათ ამის გამო პრემიებიც გადაეცემათ.“

*დავით ნამგალაური:* „მოგეხსენებათ, წელს თბილისმა სამბოში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა და ტურნირის საორგანიზაციო საკითხებმა ჩვენს კისერზე გადაიარა. შეიძლება რაღაც ხარვეზები გვქონდა, მაგრამ საერთო ჯამში ჩემპიონატმა დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. ამასთან ერთად, ჩვენც ფასდაუდებელი გამოცდილება მივიღეთ.“

**ზურაბ მიგრიაული**

# სარბიელი: კრიკეტი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 467 | ლეჩე-ალბინოლეფე | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 103 | ნუმანსია-ეხიდო | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:30 | 108 | ტარაგონა-სალამანკა | 2.10 | 2.80 | 3.60 | 1.20 | 1.32 | 1.57 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 100 | ჰერკულესი-კადისი | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 20:00 | 101 | სერესი-ელჩე | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 20:00 | 102 | ალბასეტე-ლას პალმასი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 20:00 | 104 | სპორტინგი-ეიბარი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 20:00 | 105 | ფეროლი-კასტელონი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 20:00 | 106 | სოსიედადი-კორდობა | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| 20:00 | 107 | სელტა-ალავესი | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 20:00 | 109 | მალაგა-ტენერიფე | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 14:00 | 110 | სევილია ბ-გრანადა | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | **აშშ. MLS** | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 03:00 | 468 | ტორონტო-კოლორადო | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 03:00 | 469 | ვაშინგტონი-ნიუ იორკი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 04:00 | 470 | კანზასი-კოლუმბუსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 06:00 | 471 | სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 06:30 | 472 | ჩივასი-სოლტ ლეიკი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 23:00 | 473 | დალასი-ჩიკაგო | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | **ბრაზილია. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 23:10 | 457 | ინტერნასიონალი-ბოტაფოგო | 1.70 | 3.50 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 23:10 | 458 | ფიგეირენსე-სპორტ რისიფე | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:10 | 460 | ფლამენგო-სან პაულუ | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 01:20 | 459 | პორტუგესა-ატლეტიკო პრ | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 01:10 | 461 | კურიტიბა-ვიტორია | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 01:20 | 462 | ნაუტიკო-ვასკუ და გამა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 01:20 | 463 | გოიასი-გრემიო | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **FIFA. მს 2010 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 16:30 | 411 | მალავი-ეგვიპტე | 7.20 | 3.90 | 1.35 | 2.52 | 1.13 | 1.00 |
| 16:30 | 412 | სეიშელი-ბურკინა ფასო | 6.60 | 3.70 | 1.40 | 2.37 | 1.15 | 1.01 |
| 17:00 | 415 | კენია-ზიმბაბვე | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 416 | უგანდა-ანგოლა | 2.90 | 3.20 | 2.00 | 1.52 | 1.18 | 1.23 |
| 17:30 | 417 | რუანდა-მაროკო | 5.10 | 3.80 | 1.50 | 2.17 | 1.15 | 1.07 |
| 18:00 | 418 | ნამიბია-გვინეა | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 18:30 | 419 | გაბონი-განა | 5.20 | 3.40 | 1.55 | 2.05 | 1.19 | 1.06 |
| 19:00 | 420 | ნიგერი-ბენინი | 2.55 | 3.10 | 2.40 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| 19:00 | 421 | ჩადი-კონგო | 3.05 | 3.20 | 2.10 | 1.56 | 1.24 | 1.26 |
| 20:30 | 422 | სიერა ლეონე-სამხ. აფრიკა | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| 21:00 | 423 | გამბია-ალჟირი | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| 21:00 | 424 | სუდანი-მალი | 3.65 | 3.30 | 1.80 | 1.73 | 1.20 | 1.16 |
| 14:20 | 433 | ტაილანდი-იაპონია | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 16:00 | 435 | ჩინეთი-ერაყი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 20:00 | 438 | ყატარი-ავსტრალია | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 21:00 | 440 | სირია-ირანი | 2.85 | 3.10 | 2.20 | 1.48 | 1.24 | 1.28 |
| 21:45 | 441 | კუვეიტი-საამიროები | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 23:00 | 442 | ურუგვაი-ვენესუელა | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 15:30 | 426 | მადაგასკარი-მოზამბიკი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 17:00 | 428 | ბურუნდი-ტუნისი | 4.70 | 3.30 | 1.60 | 1.93 | 1.19 | 1.07 |
| 17:00 | 429 | ლესოტო-ლიბია | 4.40 | 3.30 | 1.65 | 1.88 | 1.19 | 1.10 |
| 18:30 | 430 | ეკვატორული გვინეა-ნიგერია | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| 20:00 | 431 | ლიბერია-სენეგალი | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |
| 05:00 | 443 | პერუ-კოლუმბია | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 23:00 | 444 | პარაგვაი-ბრაზილია | 3.75 | 3.20 | 1.85 | 1.72 | 1.23 | 1.17 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 01:10 | 445 | არგენტინა-ეკვადორი | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 03:15 | 446 | ბოლივია-ჩილე | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | **UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008** | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 15 | შვედეთი-ესპანეთი | 5.00 | 3.20 | 1.75 | 1.95 | 1.29 | 1.13 |
| 22:45 | 16 | საბერძნეთი-რუსეთი | 3.20 | 3.20 | 2.20 | 1.60 | 1.30 | 1.30 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 17 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.10 | 3.20 | 2.30 | 1.57 | 1.32 | 1.33 |
| 22:45 | 18 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.20 | 3.10 | 2.25 | 1.57 | 1.32 | 1.30 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 19 | პოლონეთი-ხორვატია | 2.20 | 3.50 | 2.90 | 1.35 | 1.25 | 1.58 |
| 22:45 | 20 | ავსტრია-გერმანია | 10.00 | 4.50 | 1.35 | 3.10 | 1.18 | 1.03 |
| | | **შერეული** | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 15:00 | 475 | ვინდავა-იურმალა(ლატ) | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| 15:00 | 476 | რიგა-დინაბურგი(ლატ) | 1.35 | 4.00 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.47 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 477 | სუდუვა-ვეტრა(ლიტ) | 2.00 | 3.00 | 3.40 | 1.20 | 1.25 | 1.59 |
| | | **ხელბურთი. კაცები.მს. კვალიფიკაცია** | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 12:00 | 500 | რუმინეთი-ჩერნოგორია | 1.15 | 10.00 | 5.00 | 1.03 | 1.00 | 3.33 |
| 17:00 | 501 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.50 | 8.00 | 1.50 | 1.90 | 1.00 | 1.26 |
| 17:00 | 502 | რუსეთი-ბელარუსი | 1.03 | 12.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 18:15 | 503 | უკრაინა-ნორვეგია | 1.45 | 8.00 | 3.00 | 1.22 | 1.00 | 2.18 |
| 18:30 | 504 | შვეიცარია-პოლონეთი | 2.00 | 8.00 | 1.80 | 1.60 | 1.00 | 1.46 |
| 20:00 | 505 | სლოვაკეთი-სლოვენია | 2.00 | 8.00 | 1.80 | 1.60 | 1.00 | 1.46 |
| 22:00 | 506 | სერბეთი-ჩეხეთი | 1.12 | 12.00 | 6.00 | 1.02 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 507 | ბოსნია-უნგრეთი | 1.90 | 8.00 | 1.90 | 1.53 | 1.00 | 1.53 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 508 | ისლანდია-მაკედონია | 1.03 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| | | **შვედეთი. სუპერლიგა.** | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 118 | ბრომაპოიკარნა-ბუნკეფლო | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 19:00 | 119 | ქვიდინგი-ატვიდაბერგი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 120 | ასირისკა-მიალბი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 19:00 | 121 | სირიუსი-ანგელჰოლმი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 21:00 | 123 | ვესბი-იონკოპინგი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:00 | 124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 21:00 | 125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა (კაცები)** | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 02:00 | 512 | კუბა-იტალია | 1.65 | | | | | 2.00 |
| 09:00 | 513 | ს კორეა-რუსეთი | 5.50 | | | | | 1.10 |
| 17:00 | 515 | ბრაზილია-სერბეთი | 1.10 | | | | | 5.50 |
| 23:55 | 517 | ვენესუელა-საფრანგეთი | 2.20 | | | | | 1.50 |

**შესაძლო ცვლილებები დაბაზისტთან ადგილზე**

### რომელ ტაიმში იძნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 40015 | შვედეთი-ესპანეთი | 2.10 | 4.00 | 1.80 |
| 40016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2.10 | 4.00 | 1.80 |

### ვინ მიიღებს პირველ ყ ან Წ ბარათს (ძირ. დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 33015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.60 | 1.90 |
| 33016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.70 | 1.80 |

### პირველ ტაიმში ბატანილი გოლების რაოდენობა

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 22015 | შვედეთი-ესპანეთი 1,5 | 1.25 | 2.40 |
| 22016 | საბერძნეთი-რუსეთი 1,5 | 1.25 | 2.40 |

### ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ რაოდენობა (ძირ. დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 34015 | შვედეთი-ესპანეთი 4,5 | 1.80 | 1.60 |
| 34016 | საბერძნეთი-რუსეთი 4,5 | 1.80 | 1.60 |

### პირველი გოლი 0-29/ 30-90 (ძირ. დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 35015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.90 | 1.90 |
| 35016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.90 | 1.90 |

### კუთხურები: ᲧᲧᲕᲘᲚᲘ-1 თუ კენტი-2 (ძირ დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 48015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.85 |
| 48016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.85 | 1.85 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12015 | შვედეთი-ესპანეთი 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12016 | საბერძნეთი-რუსეთი 2,5 | 1.60 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15015 | შვედეთი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ᲕᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 31015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.90 | 1.90 |
| 31016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.90 | 1.90 |

### კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 20015 | შვედეთი-ესპანეთი 10,5 | 1.90 | 1.70 |
| 20016 | საბერძნეთი-რუსეთი 10,5 | 1.90 | 1.70 |

### თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 36015 | შვედეთი-ესპანეთი 5,5 | 1.90 | 1.60 |
| 36016 | საბერძნეთი-რუსეთი 5,5 | 1.70 | 1.90 |

### იძნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 21015 | შვედეთი-ესპანეთი | 3.00 | 1.20 |
| 21016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3.00 | 1.20 |

### პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 24015 | შვედეთი-ესპანეთი 5,5 | 1.80 | 1.70 |
| 24016 | საბერძნეთი-რუსეთი 4,5 | 1.80 | 1.70 |

### ᲕᲘᲜ ᲛᲝᲐᲬᲕᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲡ (ძირ. დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 32015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.90 | 1.60 |
| 32016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.80 | 1.80 |

### ᲑᲝᲚᲘ ᲑᲐᲕᲐ ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘ

| | | |
|---|---|---|
| 39015 | შვედეთი-ესპანეთი კი | 3.10 |
| 39016 | საბერძნეთი-რუსეთი კი | 3.10 |

### ᲑᲐᲘᲢᲐᲜᲡ თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

| | | |
|---|---|---|
| 49015 | შვედეთი-ესპანეთი კი | 3.00 |
| 49016 | საბერძნეთი-რუსეთი კი | 3.00 |

### პირველ ტაიმში იძნება შეცვლა

| | | |
|---|---|---|
| 43015 | შვედეთი-ესპანეთი კი | 3.50 |
| 43016 | საბერძნეთი-რუსეთი კი | 3.50 |

### მეკარე შეიცვლება (ძირ. დრო)

| | | |
|---|---|---|
| 45015 | შვედეთი-ესპანეთი კი | 6.00 |
| 45015 | საბერძნეთი-რუსეთი კი | 6.00 |

### იძნება გამეგება(ძირ. დრო)

| | | |
|---|---|---|
| 37015 | შვედეთი-ესპანეთი კი | 3.30 |
| 37016 | საბერძნეთი-რუსეთი კი | 3.30 |

## II ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19015 | შვედეთი-ესპანეთი | 4.50 | 2.20 | 2.20 | 1.47 | 1.47 | 1.10 |
| 19016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3.40 | 2.20 | 2.40 | 1.33 | 1.40 | 1.14 |

### ᲤᲠᲔᲡ ᲑᲐᲠᲔᲨᲘ (ძირითადი დრო)

| | | |
|---|---|---|
| 16015 | შვედეთი-ესპანეთი | 3.50 | 1.25 |
| 16016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2.40 | 1.50 |

### ᲑᲐᲘᲢᲐᲜᲡ თუ არა ორივე ᲑᲣᲜᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲒᲝᲚᲡ. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.90 | 1.70 |
| 13016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.80 | 1.80 |

### ᲒᲝᲚᲘ:ᲧᲧᲕᲘᲚᲘ-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ᲧᲧᲕᲘᲚᲐᲓ)

| | | |
|---|---|---|
| 17015 | შვედეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |

### რომელი ᲑᲣᲜᲓᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შსონი ᲬᲐᲒᲔᲑᲣᲚᲐᲓ ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14015 | შვედეთი-ესპანეთი | 2.30 | 1.55 |
| 14016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.90 | 1.70 |

## ᲖᲣᲡᲢᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

| | | | |
|---|---|---|---|
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 0:2 | 5.30 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 2:1 | 15.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 3:0 | 30.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 3:1 | 40.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 3:2 | 45.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 1:3 | 10.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 1:0 | 10.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 1:2 | 7.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 0:3 | 9.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 0:1 | 5.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 2:0 | 25.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 1:1 | 6.50 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 2:2 | 15.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 2:3 | 25.00 |
| 47015 | შვედეთი-ესპანეთი | 0:0 | 8.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2:2 | 15.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1:0 | 8.50 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2:3 | 22.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 0:1 | 5.20 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 0:2 | 6.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1:2 | 6.50 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1:3 | 15.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2:0 | 13.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1:1 | 6.50 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 0:3 | 12.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2:1 | 11.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3:0 | 45.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3:1 | 30.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3:2 | 35.00 |
| 47016 | საბერძნეთი-რუსეთი | 0:0 | 7.50 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10015 | შვედეთი-ესპანეთი | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3.20 | 2.00 | 2.50 | 1.23 | 1.40 | 1.11 |
| 10019 | პოლონეთი-ხორვატია | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11015 | შვედეთი-ესპანეთი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11016 | საბერძნეთი-რუსეთი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

## ᲰᲐᲜᲓᲘᲙᲐ�პᲘ

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 26015 | შვედეთი-ესპანეთი 1:0 | 2.15 | 3.20 | 2.80 |
| 26016 | საბერძნეთი-რუსეთი 1:0 | 1.65 | 3.30 | 3.95 |

# იქ, სადაც სკოლა-არი

**ბრაზილიელმა** ვარსკვლავმა, რონალდინიომ ლუიშ ფელიპე სკოლარის ფაქტობრივად ასეთი რამ შეუთვალა: „ჩელსიში“ თუ ამიყვან, ჩემს ბრწყინვალე კარიერას აღვადგენო.

როგორც ინგლისური პრესისთვის გახდა ცნობილი, პორტუგალიის ნაკრების თავკაცი, რომელიც 1 ივლისიდან „ჩელსის“ გაწვრთნის, ოდინდელ შეგირდს ამ დღეებში დაურეკავს და შეეცდება, უშუალო საუბარში გაარკვიოს რამდენად მოწადინებულია ორიოდ წლის წინ ლამის მარადონას შედარებული კაცი.

აქამდე სკოლარი ჭოჭმანობდა, რადგან ბოლო ბარსელონური წელიწადი ბრაზილიელ ვარსკვლავს პრობლემური გამოუვიდა: ცალკე ტრავმებმა დატანჯა და ცალკე პირადმა პრობლემებმა.

მოგეხსენებათ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ორჯერ აღიარებული რონალდინიოს აგენტი მისივე ძმა რობერტო დე ასისია, რომელმაც სცადა ინგლისელი ჟურნალისტები დაერწმუნებინა, რომ მომდევნო სეზონიდან მსოფლიოს ახალი რონალდინიო წარუდგება:

„ამწუთას რონალდინიუ შინ არის, პორტე ალეგრეში და სრულყოფილად ისვენებს. რასაკვირველია, მას მომავალი სეზონისთვის რამდენიმე შეთავაზება აქვს, მაგრამ არსებობს სკოლარის ფაქტორიც. მოგეხსენებათ, ისინი ბრაზილიის ნაკრებში ერთად მუშაობდნენ და ჩინებული შეგირდი და მასწავლებელი იყვნენ“.

ადრეც გვიხსენებია, რომ ასისი რონალდინიოს შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით „ჩელსის“ წარმომადგენლებს ადრეც შეხვედრია. ცნობილია, რომ ბრაზილიელის შეძენა „მანჩესტერ სიტის“ ახალ მწვრთნელს მარკ ჰიუზსაც სურს, თუმცა, ბუნებრივია, თავად ფეხბურთელისთვის განსაკუთრებით მომხიბლავი (რასაკვირველია, გვარიანი ჯამაგირის გადრა) ყოფილ მწვრთნელთან თანამშრომლობაა.

თავის მხრივ, ხუთწლიანი თანამშრომლობის შემდეგ ბრაზილიელი ვარსკვლავის გაყიდვის მზადყოფნას „ბარსაც“ გამოხატავს. რაც შეეხება ფულს, ვითარება ასეთია: მყიდველ გუნდს სატრანსფერო ხარჯი დაახლოებით 20 მილიონი გირვანქა ექნება, თავად რონის კი კვირაში 120 ათასი გირვანქა დასჭირდება.

**პაპუნა კედია**

# დუნგას საპეკინო სია

**ალეშანდრო პატომ** საწადელს მიაღწია, იგი პეკინის ოლიმპიადაზე გაემგზავრება. „იხვი“ კარლოს დუნგას 23-კაციან განაცხადში მოხვდა. ის „მილანი“ 18 წლის ფეხბურთელის სურვილს წინ არ აღუდგა. აი, კაკას გაშვებაზე კი „როსონერიმ“ საუბარიც არ ისურვა.

ასეა თუ ისე, დუნგას საპეკინო განაცხადში მხოლოდ ერთი 23 წელს გადაცილებული ფეხბურთელი მოხვდა — მადრიდის „რეალის“ რობინიო.

შეგახსენებთ, რომ პატომ არაერთხელ განაცხადა, ოლიმპიადაზე თამაში ძალიან მინდა, ოქორს მედლები ბრაზილიას არასოდეს მოუგია და ჩემი ოცნებაა, ეს შევძლოთ და ამ ისტორიულ წარმატებაში წვლილი მეც შევიტანოო.

აქვე გთავაზობთ სრულ განაცხადს.

*მეკარეები: დიეგო ალვეში (ალმერია, ესპანეთი), რენანი (ინტერნასიონალი);*

*მცველები: რაფინია (შალკე, გერმანია), ნეი (ატლეტიკო პარანენსე), ლეონარდო (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ფილიპე (დეპორტივო, ესპანეთი), ალექს სილვა (სან პაულუ), ბრენო (ბაიერნი, გერმანია), ტიაგუ სილვა (ფლუმინენსე), ლეო (გრემიო);*

*ნახევარმცველები: ლუკაშ ლეივა (ლივერპული, ინგლისი), ერნანესი (სან პაულუ), რამირესი (კრუზეირო), ჩარლზი (კრუზეირო), ანდერსონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), დიეგო (ვერდერი, გერმანია), ტიაგუ ნევეში (ფლუმინენსე);*

*თავდამსხმელები: რობინიო (რეალი, ესპანეთი), პატო (მილანი, იტალია), სობისი (ბეტისი, ესპანეთი), ოლდონი (ატლეტიკო პარანენსე).*

**კოკი კანდელაკი**

# იუვე და ჩელსიში დაკარგული

**ტურინის** „იუვენტუსმა“ ბრანისლავ ივანოვიჩი გაიხსენა, რომლის შეძენასაც რამდენიმე თვის წინ ცდილობდა, მაგრამ სერბი მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ „ჩელსიში“ გადაბარგდა. თუმცა 24 წლის ფეხბურთელი ლონდონელთა რიგებში ჩაიკარგა და ჯერაც არ უთამაშია.

ამბობენ, „იუვენტუსი“, რომელსაც დაცვა კვლავ გვარიანად გასაძლიერებელი ჰყავს, ივანოვიჩის ერთი წლით თხოვებას შეეცდება, გამოსყიდვის პერსპექტივითო.

ამჟამად „იუვენტუსის“ საუკეთესო მცველი ჯორჯო კიელინი კი კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან ახლოსაა. გავრცელებული ინფორმაციით, მხარეები 2012 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივებენ შეთანხმებას, ხოლო 24 წლის ფეხბურთელის ხელფასი გაორმაგდება და დაახლოებით 2 მილიონი ევრო გახდებაო.

„ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილია, შესათანხმებელი მცირე დეტალებიღა დარჩა. ძალიან ბედნიერები და კმაყოფილები ვართ. „იუვენტუსი“ ჯორჯოს გულში“ — თქვა კიელინის აგენტმა, მარჩელო ლიპის ვაჟმა დავიდემ.

რაფაელე პალადინო კი, რომელიც მცირე სათამაშო დროს უჩივის და წასვლაზე ფიქრობს, „ჯენოაში“ გადასვლასთან ახლოს იყო, მაგრამ „გრიფონიში“ გადაბარგებაზე ბოლო წამს თავად ფეხბურთელს უთქვამს უარი. იტალიური პრესა იმასაც იუწყება, ახლა მის მსურველ სხვა კლუბებს შორის ყველაზე დიდ ინტერესს „ნაპოლი“ იჩენსო.

**გიორგი კაკაბაძე**

# მარსელი ძლიერდება

**„მარსელი“** „ლანსს“ გაურიგდა ბრაზილიელი მცველის ვიტორინო ილტონის ტრანსფერის თაობაზე. როგორც კი 30 წლის ცენტრალური მცველი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდება. გარდა ამისა, „ველოდრომის“ ბინადრებს ჰალიდ ბულარუზის ხელში ჩაგდება სურთს, მაგრამ ისინი „ჩელსისთან“ და თავად ფეხბურთელთან მოლაპარაკებებს ევრო 2008-ის მერე დაიწყებენ. ბულარუზი ამჟამად ავსტრია-შვეიცარიაში ჰოლანდიის ინტერესებს იცავს და ტრანსფერისთვის ნაკლებად სცხელა.

# ლიონს პუელი გაწვრთნის

**ფრანგული** „ლიონის“ მთავარი მწვრთნელი კლოდ პუელი გახდება. რამდენიმედღიანი ფიქრის შემდეგ „ლილის“ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა საბოლოოდ გადაწყვიტა „ლომების“ შეთავაზებას დათანხმებულიყო და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსნებეთ, რომ 46 წლის სპეციალისტი ალან პერინს შეცვლის.

# ფარფანი შალკეში გადავიდა

**23 წლის** პერუელი თავდამსხმელი ჯეფერსონ ფარფანი პსვ-დან „შალკეში“ გადავიდა. გელზენკირხენელებთან მან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფარფანი 2004 წლიდან თამაშობდა ეინდჰოვენელთა რიგებში. პსვ-ს მაისურით მან 118 მატჩი ჩაატარა და 57 გოლი გაიტანა. ეროვნულ ნაკრებში მის ანგარიშზე 38 შეხვედრაში 12 გოლია.

# ევრა და მანჩესტერი გაგრძელდა

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** კიდევ ერთ წამყვან ფეხბურთელთან გაახანგრძლივა კონტრაქტი — პატრის ევრა „ოლდ ტრაფორდზე“ 2012 წლამდე დარჩება.

„ჩემთვის დიდი პატივია ასეთ კლუბში თამაში და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „მანჩესტერთან“ ახალი ხანგრძლივი კონტრაქტი გავაფორმე. მინდა გუნდთან ერთად კიდევ ბევრი ტიტული მოვიგო“ — თქვა ფრანგმა.

# სოლანო თავისუფალი აგენტია

**გამოცდილმა** ნოლბერტო სოლანომ ლონდონის „ვესტ ჰემი“ დატოვა და ახლა ახალ კლუბს ეძებს. „ჩაქუჩებმა“ 33 წლის პერუელთან კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ ისურვეს.

„ახალ გუნდს ვეძებ, რამდენიმე ვარიანტი უკვე მაქვს. კიდევ ორი წლით ინგლისში დარჩენა მინდა, მერე კი სამშობლოში დავბრუნდები“ — თქვა სოლანომ.

# ლაციოს ჰესელინკი უნდა

**რომის** „ლაციო“ ვენეგოორ ოფ ჰესელინკს უტრიალებს. კლუბის პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ განაცხადა, თუ გლაზგოს „სელტიკი“ ჰოლანდიელ ფორვარდში 3,5 მილიონ გირვანქას აღარ მოგვთხოვს და ცოტა ფასს დაუკლებს, ვიყიდითო. გარდა ამისა, „ბიანკოჩელესტი“ ესპანიოლელი პაბლო ზალაიეტათი და პალერმოელი ედისონ კავანითია დაინტერესებული.

# სუპერკონტრაქტი ბალოტელის

**მილანის** „ინტერი“ თავის ახალგაზრდა ვარსკვლავს მარიო ბალოტელის ახალ სუპერკონტრაქტს უმზადებს „ნერაძური“ მასთან შეთანხმებას 2013 წლამდე გააფორმებს და ხელფასს თითქმის 22-ჯერ გაუზრდის. ამჟამად ბალოტელის ჯამაგირი დაახლოებით 70 ათასი ევროა. თან მისი ხელფასი, ეტაპობრივად გაიზრდება და 2013 წელს დაახლოებით 4 მილიონ ევროს მიაღწევს.

# ადებაიორი მილანს უახლოვდება

**იტალიური** პრესის ცნობით, ემანუელ ადებაიორსა და „მილანის“ შესაძლო ტრანსფერის ამბავში სიახლეა. კერძოდ, ტოგოელ თავდამსხმელს მკაცრად უთხოვია თავისი აგენტისთვის, როგორმე შეუთანხმდი „არსენალს“, რომ ჩემს გაშვებას დათანხმდესო. „როსონერი“ 24 წლის თავდამსხმელს სასურველ ხელფასს ჰპირდება. „მეოოფეები“ კი, თუ ადებაიორს შეელევიან, ალბათ „ბლექბერნიდან“ როკე სანტა კრუზს მიიყვანენ.

# რიისე რომაში?

**ბოლო** პერიოდში აქტიურად საუბრობენ იონ არნე რიისეს „რომაში“ გადასვლასთან დაკავშირებით. ნორვეგიელი „ლივერპულის“ ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა და „ენფილდიდან“ წასვლა სურს. „გლადიატორთა“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ კი მისდამი საქებარი სიტყვები არ დაიშურა და აღნიშნა, თუ რიისეს ვიყიდით, ბედნიერი ვიქნები, იგი გუნდს ძალიან გააძლიერებსო.

პარალელურად, „რომას“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ალბათ საბოლოო შეთანხმების მიღწევა მოხერხდება „ლეჩესთან“ 24 წლის მირკო ვუჩინიჩის ბოლომდე გამოსყიდვის თაობაზე — უკვე შეგიძლიათ, ის 99 პროცენტით „ჯალოროსის“ სრულფასოვან ფეხბურთელად ჩათვალოთო.

**კოკი კანდელაკი**

# ქორწილია, ქორწილი!

**უეინ რუნიმ** და მისმა საცოლემ, კოლინ მაკლაფლინმა იქორწინეს, ოღონდ... ექსტრავაგანცა, რომელიც 3 მილიონი გირვანქა დაჯდა, ცოტა უამინდობამ შელახა.

უამინდობაო?... ბედი არ გინდა, სკუსმა ანუ ლივერპულელმა წყვილმა ზეიმი ნისლიანი სამშობლოდან საგანგებოდ გადაიტანა მზიან იტალიაში, მაგრამ ავდარი კუდში გაჰყვა. თან, რა ოხერი რამ არის ეს ბედის ირონია — მანამდე, სამი დღის განმავლობაში, რივიერაზე თერმომეტრი ორმოცს უკაკუნებდა.

ერთი სიტყვით, ჩაიცვა პატარძალმა საქორწინო კაბა და შენობიდან გამოვიდა თუ არა, წვიმამაც დასცხო. ეს ამბავი გენუის სიახლოვეს ხდებოდა. ნალექმა არც ხელისმოწერის ცერემონიალი დაინდო — ეს ამბავი კი ვილა დურაცოს ციხესიმაგრეში გაგრძელდა, საიდანაც სანტა მარგარიტა ხელის გულივით მოსჩანს.

მაგრამ, რა იცოდა ინგლისიდან ჩამომილიონებულმა წყვილმა, რომ იქ, სადაც ისინი ულოდებოდნენ, წვიმიანი ქორწილი ბედნიერების ნიშანია. ასეთი გამოთქმაც კი ჰქონიათ: Sposa bagnata, sposa fortunata, რაც ნიშნავს „სველი ქორწილი იღბლიანი ქორწილია“.

მავანმა დამსწრემ ინგლისურ ტაბლოიდებს უამბო: „კოლინი იხტიბარს არ იტეხდა, ბედნიერად იღიმებოდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ სინამდვილეში ნამდვილ კოშმარში იყო. მთელი კვირა საუცხოო დარი იდგა და მაინცდამაინც მისი ქორწილის დღეს ჩამოიქცა ზეცა“.

ხელის მოწერის ცერემონიალს ოჯახის წევრები და ახლობლები დაესწრნენ, სულ 15 კაცი. როგორც ტაბლოიდები იუწყებიან, მათ თავზე, ამ დროს, ლუდოვიკო მეთექვსმეტის ჭაღი ეკიდა. კოლინი რიტუალის ადგილას ვერცხლისფერი მერსედესის მინივენით მიიყვანეს. ცერემონიალი 20 წუთს გაგრძელდა. ის სანტა მარგარეტას ვიცე-მერმა ჯანი კოსტამ ჩაატარა. როგორც ჟურნალისტებმა გამოქექეს, სინიორ კოსტა ოდესღაც ფეხბურთელი ყოფილა, თუმცა ეს შესაძლოა გადაჭარბებითაც იყოს ნათქვამი, ვინაიდან იტალიაში ამა თუ იმ დონეზე ფეხბურთი ყველას აქვს ნათამაშევი.

მოგვიანებით ტაბლოიდებმა მასაც ჰკითხეს შთაბეჭდილება. ვიცე-მერმა რასაკვირველია, მიუგო, რომ პატარძალი უმშვენიერესი იყო, ცერემონიალზე კი თქვა, რომ ყველაფერი მარტივად და ლამაზად ჩატარდა. როგორც გაირკვა, სიძე-პატარძალს ბეჭდები არ გაუცვლიათ.

რაც შეეხება უსაფრთხოებას, ადგილობრივი პოლიციის მრავალრიცხოვანი რაზმის გარდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავისა და მისი აწ უკვე ცოლის სიმშვიდეს ლონდონიდან ჩამოყვანილი პირადი დაცვის თანამშრომლებიც იცავდნენ. წყვილი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა პაპარაცებს მათთვის ფოტო არ გადაეღოთ — საქმე ის არის, რომ ქორწილის ფოტოგრაფირების უფლება უეინმა და კოლინმა ოფიციალურად მიჰყიდეს ერთ-ერთ სელებრითი ჟურნალს.

თერთმეტს თხუთმეტი რომ დააკლდა, ახალდაქორწინებული წყვილი და „მაყრიონი“ ყოფილი მონასტრისკენ, ლა კერვარასკენ დაიძრენ, სადაც კოლინმა თავისი 100 ათას გირვანქიანი საპატარძლო კაბა გამოიცვალა და მოგვიანებით შვებითაც ამოისუნთქა, რადგან 2 საათისთვის წვიმა შეწყდა.

სწორედ ამ დროს მივიდნენ ლა კერვარაში სტუმრები, სულ 64 ადამიანი, რომელთა შორის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელები, ვეს ბრაუნი, ჯონ ოში და მაიკლ კარიკიც იყვნენ. ხუთი საათისთვის წუთებში გათვლილ და დადგმულ ზეიმზე მორიგი სცენა გათამაშდა — პატარძალი მამამ, ტონი მაკლაფლინმა საგანგებო წითელი ხალიჩით მიიყვანა მონასტრის ტერიტორიაზე მდებარე წმინდა ჯიროლამას ეკლესიაში. იქაური ტრადიციებისა მაინცდამაინც არ გაგვეგება, მაგრამ როგორც ზემოთ რამდენჯერმე ნახსენები ტაბლოიდები ამბობენ, „ყვავილების გოგო“ კოლინის ინვალიდი აყვანილი და როუზი იყო. ჰოდა, ახალგაზრდებმა სწორედ აქ, წმინდა ჯიროლამას ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. ცერემონიალი იტალიელმა მღვდელმა ჩაატარა და ნეფე-პატარძალმა ბეჭდები გაცვალა.

შემდეგ, დაიწყო ტერასაზე შამპანურის სმა, ფოიერვერკი კი 100 ათას გირვანქიანი გახლდათ.

ცნობილი საფეხბურთო სახეებიდან ზეიმს ესწრებოდნენ დანკან ფერგიუსონი და ალან სტაბსი.

**პაპუნა კედია**

ზიაკ კერიკი

უესლი ბრაუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— აუ, აუ, აუუუ...

— რა გაყმუვლებს, მგელკუშ, აბა ბილეთი მანახე.

— ნახე ძმაო, ისეთი ბილეთია, გაგიმაზავ, რო შენც ყმუილს დაიწყებ.

— კნავილი რო დავიწყო, რამდენ კუშს გადაიხდი? ეს რა ჩაგიწერია ტო! ფუტბოლი ვიცი, სერია ჭე-ში სამჯერ აუტი ჩამიწოდებია, ზაპასნოების სკამი გამიწმენდიაო და რეები ჩაგიბლაჯნია ამ პატიოსან ქალალდზე?

— მაგარი გერმანია და პოლონეთი ვიყავი...

— ჰოდა, აუ ფიდერ ზეი! ხორვატიის წაგება რამ დაგაწერინა ტო, სასტავს მაიკაზე შახმატის დაფა ახატია, ცვეტში გრასმეისტერები არიან.

ეს რაღაა, პოლონეთის მოგება რო მიგიწერია ავსტრიასთან, მასპინძლებს ტეხავდი ევროდან? ვაფშე ესენი ხო ხუთშაბათს იყო და რას ინახავ ამ მახინჯ ბილეთს შეყვარებულის წერილივით, ტო.

— მინდოდა შენთვის მეჩვენებინა...

— მე რა, ტო, კოპერფილდთან კი არ ვმუშაობდი. წაგებულ ბილეთებს კი არ ვაცოცხლებ. შვეიცარია რო ჩარჩა ჯგუფში, ვერ მოწვი, რო ავსტრია აღარ გატყდებოდა?

— გერმანია და პოლონეთი წყვილად ავიღე, მარა ორივე ნაჩალიჩარი გამოდგა.

— ეხლა კი მაგრა მიჰქარავ, ტო. „ელჩემ“ და „ლეჩემ“ რო იჩალიჩონ, კიდე მოსულა, მარა, ევროპაზე?

— თუ ძმა ხარ, რა! ფუტბოლებს არ უყურე? ნახე, გერმანიამ რა იკადრა? პროსტამც, მერელა გამახსენდა პორტუგალიის ტრენერი, თორე არ ჩავწერდი

— რა იკადრა ტო, ხორვატებმა პა იგრე არ დაჩაგრეს?

— რა დაჩაგრეს, ძმაო. გუნდი იმენა დასეირნობდა. მთვრალებივით დადიოდნენ. თამაში რო დაიწყო, მერელა მოვწვი, რო უნდა წაეგო და დაუწვა კიდეც, ტიპები ჩალიჩობენ, რო მეორე ადგილზე გავიდნენ და პორტუგალიას შეხვდნენ.

— გადამრევ, ტო! რა პონტში უნდათ პორტუგალია, კამიკაძეები არიან?

— აი, ეხლა გაგიიასნებ, რო კუშნახევრი ტვინი არა გაქ. ფელიპე!

— რა ფელიპე?

— ლუიშ!

— ფიგუ?

— ფიგუ კი არა სკოლარი, შე გამოფიგუებულო. 2002-ში სკოლარის ბრაზილიამ გერმანიას ფინალში რო მოუგო, აღარ გახსოვს, იმიტო რო ფუტბოლის აზრზე არა ხარ. ჰოდა, გერმანია ზაკაზად მეორეზე გადის, რო სკოლარიზე შური იძიოს.

— წადი რა, ტო, შურისძიება თუ გინდა, ინდურ კინოს უყურე და ხელს ნუ მიშლი, ტანზანიას და ჩადის ერთიანები წყვილად უნდა დავწერო.

**ᲙᲣᲨᲘ ᲙᲝᲜᲯᲐᲠᲘᲐ**

ჩემი ბილეთი:
001 გაბონი-განა
შედეგი: განდაგანა
სავარაუდო მოგება: ბანანის ჩაქაფული
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ როგორ
გატყვრნენ გერმანელები არაყნარევი
ლუდით ხორვატიასთან მატჩის წინ

**114140 ***

# euro_fan_2008@yahoo.com

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

**Chegevara**: სალამი სარბიელს! ბრავო ხორვატებს! მამაცი გულების სახელს ეგენი შოტლანდიელებზე არანაკლებ იმსახურებენ, თუ მეტად არა. ისე, ერთ პატარა გმირობას რუმინეთისგანაც ველი. იმედია, ქართველი ფეხბურთელები და ფედერაციის ხელმძღვანელობა უყურებდა ხორვატიის თამაშს, ნათელ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება პატარა ქვეყანამ საშუალო გუნდით წარმატებას მიაღწიოს.

**Irakli1979**: გახურდა ევროპის ჩემპიონატი, უკვე პირველი მეოთხედფინალისტების და ჯგუფში ჩარჩენილთა ვინაობაც გაირკვა, თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვით შვეიცარიაზე, სახლში გაემგზავრაო, გასაგები მიზეზების გამო. სადაც იყო, იქვე დარჩა, ოღონდ მოედნიდან ტრიბუნაზე გადაინაცვლა.

თურქებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჯიგრიანი გუნდია. ნამდვილად იმსახურებენ პატივისცემას. გამაოგნებელია იტალიის ნაკრების დაცვა, რუსეთის ნაკრების უკანა ხაზზე ბევრად უკეთესად ნამდვილად არ გამოიყურებიან. საცოდაობაა, იტალიაში დონადონიზე მაღალი კლასის მწვრთნელი ვერ მოძებნო, შესაბამის შედეგსაც იმკის „სკუადრა აძურა“. ჰოლანდიამ ლამაზი ფეხბურთი აჩვენა, თუმცა გერმანელთა გუნდი უფრო სტაბილურ ნაკრებად მიმაჩნია, მიუხედავად ხორვატებთან მარცხისა და პორტუგალიელები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ მეოთხედფინალში. ხორვატიის ნაკრებს წარდგენა არ სჭირდება, თუმცა მათი მაქსიმუმი მაინც ნახევარფინალში გასვლა მგონია, ესპანელები სეირნობით კი გავლენ ჯგუფიდან, საკითხავი ისაა, მეოთხედფინალში რას გვიჩვენებენ. მთლიანობაში საინტერესოდ საყურებელი ჩემპიონატია და ვფიქრობ, წინა ევროპის პირველობას ნამდვილად ჯობია, ჯგუფური ეტაპის თამაშებით მაინც.

# რა მაგარი ბიჭია ვები!



**ᲚᲔᲝ ᲑᲔᲔᲜᲰᲐᲙᲔᲠᲛᲐ** ინგლისელი მსაჯი ჰოვარდ ვები პოლონეთის ნაკრების ევროპის ჩემპიონატიდან გაგდებაში დაადანაშაულა. ალბათ, იოლი მისახვედრია, რაზეც არის ლაპარაკი: ხუთშაბათ საღამოს, ვენის „ერნსტ ჰაპელზე“, პოლონეთისა და ავსტრიის ნაკრებთა მატჩის წამატებულ წუთებზე ვებმა მასპინძლების, ანუ ავსტრიელების სასარგებლოდ პენალტი დანიშნა.

დიახ, პოლონეთი 93-ე წუთამდე 1:0-ს იგებდა, მაგრამ ხსენებულ დროს მარიუშ ლევანდოვსკი სებასტიან პროდლის მაისურაზე დაქაჩვის გამო თერთმეტმეტრიანით დაჯარიმდა.

ვები და მისი თანაშემწეები ევროპის ჩემპიონატში მონაწილე ერთადერთი ინგლისელები გახლავან და ბეენჰაკერს ეჭვიც კი გაუჩნდა, რომ მათ თავის საგანგებოდ გამოჩენა უნდოდათ.

„იქნებ, მას უნდოდა ყველასთვის დემტკიცებინა, რომ დიდი ბიჭია და ასეთი რაღაცეების გაკეთების შნო აქვს, არ ვიცი. პირადად მე ფეხბურთში 43 წელიწადია ვმოღვაწეობ და პრობლემა არ მქონია. ასე რომ, ასეთ საქციელს, მართალი გითხრათ, კარგად ვერც კი ვიგებ“.

თეორიულად, პოლონეთის ნაკრებს ჯგუფიდან გასლა ჯერ კიდევ შეუძლია, მაგრამ ამისათვის ხორვატიას უნდა მოუგოს და კიდევ, ჯგუფის მეორე თამაში გერმანელთა და ავსტრიელთა შორის უნდა დასრულდეს მისთვის სასურველი ანგარიშით — ხორვატია, მოგეხსენებათ, გერმანიასთან 2:1 გამარჯვების შემდეგ პირველ ადგილზეა.

„რაც მოხდა, იმასთან შეგუება ძნელია, მაგრამ შევეცდები. ბიჭებთან კი არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მათთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ამიერიდან ჩვენს ბედს თავად აღარ განვაგებთ, რის გამოც მარტივი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია: ჩვენ შეჯიბრებას გამოვეთიშეთ“.

და, რაც ყველაზე საინტერესოა, ინგლისელი მსაჯებით უკმაყოფილების საბაბი ავსტრიელებსაც აღმოაჩნდათ: გაპოლონელებულმა როჟერ გერეიერომ თავისი წილი ოფსაიდიდან გაიტანა.

„პოლონელებმა ოფსაიდიდან გაგვიტანეს, მაგრამ რა გაეწყობა, რაკიღა მსაჯმა არ ჩასტვინა, ესე იგი გოლი იყო“ — ეს სიტყვები კი ავსტრიელების თავკაცმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა თქვა.

თუმცა, ჩვენ ისევ ბეენჰაკერს დავუბრუნდეთ, რომლისთვისაც ავსტრიელებთან ფრეს გერმანელებთან დამარცხებაზე მეტად დაუწყვეტია გული.

„როდესაც მარცხდები, რადგან მეტოქემ ორი გოლი გაგიტანა, შენ კი ეს ვერ შეძელი, ნორმალურია, ამის შეგუება შეიძლება, მაგრამ არის მომენტები, როდესაც მარცხდები, როდესაც დამარცხებას არ იმსახურებდი და ეს არის მეტისმეტად გულსატკენი“.

მაგრამ, უეფა ბეენჰაკერის შეხედულებას არ იზიარებს.

„სულაც არ ვფიქრობთ, რომ იმ ეპიზოდში, როდესაც პოლონელთა კარში პენალტი დაინიშნა, მცველმა თავდამსხმელს მაისურზე დაქაჩა“ — განაცხადა უეფას კომუნიკაციათა დირექტორმა უილიამ გაილარმა.

პოლონეთის პრემიერ მინისტრმა დონალდ ტუსკმა კი დიპლომატია სულ დაივიწყა:

„როგორც პრემიერ მინისტრი გაწონასწორებული უნდა ვიყო, მაგრამ როგორც ფანი სიამოვნებით მოვკლავდი ვებს“.

**ᲑᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

euro_fan_2008@yahoo.com

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## D ჯგუფი. II ტური. დღეს

„ტივოლი ნოი“, ინსბრუკი
**შვედეთი — ესპანეთი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შვედეთი:** ისაკსონი; სტოორი, მელბერგი, პანსონი, ნილსონი; როზენბერგი, სვენსონი, ანდერსონი, ლიუნგბერგი; ჰ. ლარსონი, იბრაჰიმოვიჩი
**მწვრთნელი:** ლარს ლაგერბაკი
**ესპანეთი:** კასილიასი; სერხიო რამოსი, მარჩენა, პუიოლი, კაპდევილა; სენა, ხავი, ინიესტა, სილვა; ვილია, ტორესი
**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი
**მსაჯი:** პიეტერ ვინკი (ჰოლანდია)

# მთავარია პასპორტი!

## ბრწყინვალე თავდასხმა VS ბრწყინვალე თავდასხმა

„ესპანეთის ნაკრების ნებისმიერ სათადარიგო ფეხბურთელს შვედური პასპორტი რომ ჰქონდეს, ჩემს გუნდში ძირითადში დავაყენებდი“ — ეჰ, პასპორტია საქმე, ბატონო ლარს ლაგერბაკო, თორემ მასე საქართველოს ნაკრებიც ძლიერი იქნებოდა...

შვედების მწვრთნელი ესპანელებს ხოტბას ასხამს და განსაკუთრებით, მათ ტექნიკურ არსენალს უსვამს ხაზს, მათ უყვართ ბურთის კონტროლი და შეტევაში ძალიან მწვავეები არიან, ბევრ სახიფათო მომენტს ქმნიანო.

და დავიდ ვილია? ლაგერბაკი მასზე ამბობს, ბრწყინვალეა და მისი ჰეთ-თრიქი ჩემთვის მოულოდნელობა სულაც არ ყოფილაო.

ალბათ, ახლა თავიანთ სიტყვებზე ეცინებათ მათ, ვინც ამბობდა, ესპანეთი ევრო 2008-ზე ერთი ფორვარდით ითამაშებს და ეს ფერნანდო ტორესი იქნებაო. რუსეთის რბევის შემდეგ ვილიას ხელის თითი ჰქონდა დაშავებული, მაგრამ ეს არაფერი, 10 ივნისის გმირი შვედებს პირველივე წუთიდან შეუტევს.

ვილიას მეწყვილე ფერნანდო ტორესმა კი რუსებთან 54-ე წუთზე შეცვლის გამო გაბრაზებულია, „ფურია როხას“ მწვრთნელ ლუის არაგონესი მისთვის ხელის ჩამოსართმევად გაემართა, ტორესმა კი, ჟარგონულად რომ ვთქვათ, „ნე ვიჟუ დაურტყა“ და უკმაყოფილო სახით დამჯდარა სათადარიგოთა სკამზე.

„ვინ თქვა, რომ არაგონესს შეგნებულად არ ჩამოვართვი ხელი? ჩემს თავზე ვიყავი გაბრაზებული და საერთოდ, ნაადრევად შეცვლის გამო წყენა, მაქსიმუმ, 30 წამი გამყვეს, რადგან კარგად მესმის, რომ ზოგიერთ ჩემს თანაგუნდელს იმ დღეს საერთოდ არ უწევს თამაში. ასე რომ, ნაწყენი არ ვარ, ყველაფერი ნორმალურადაა და შვედებთან მოსაგებად ვემზადები“ — თქვა „ლივერპულის“ ვარსკვლავმა.

არაგონესმა ტორესის საქციელზე თქვა, მეც მომსვლია ფეხბურთელობისას მსგავსი რამ, მაგრამ ტორესი მაინც დაისჯებაო — რა ფორმით, ეს აღარ დაუკონკრეტებია „ბებერს“...

რუსების განადგურების მიუხედავად, შესაძლოა, არაგონესმა ერთი ცვლილება მოახდინოს ძირითად თერთმეტეულში და სესკ ფაბრეგასი თავიდანვე ათამაშოს. არაა გამორიცხული, „არსენალის“ მშვენება სწორედ ტორესს ჩაენაცვლოს, ხოლო ანდრეს ინიესტამ უფრო წინ წაიწიოს და მარჯვენა გარემარბობა ისეთ ოსტატ ფეხბურთელ ალბერტ ბენეგასს ანდოს, ალბერტ ბენეგასი ბოლოს ეროვნულ ნაკრებში 1994 წელს ითამაშებს, ეს

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## A ჯგუფი. III ტური. ხვალ

„სენტ-იაკობ-პარკი“, ბაზელი

**შვეიცარია — პორტუგალია**

**საპარაუდო შემადგენლობები**

**შვეიცარია:** ბენალიო; ლიხტშტაინერი, მიულერი, სენდეროსი, მანინ; ბეჰრამი, ინლერი, ფელსონი, ბარნეტა; ჰაქან იაქინი, დერდიოქი

**მწვრთნელი:** იაკობ კუნი

**პორტუგალია:** რიკარდუ; ბოსინგვა, პეპე, კარვალიუ, ფერეირა; პეტიტი, ფოაუ მოუტინიუ; კრიშტიანუ რონალდუ, დეკუ, სიმაუ; ნუნუ გომეში

**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

# ზეიმი გრძელდება...



ეუსებიოს პორტუგალიელთა ფავორიტობის არ სწამს

**მიმდინარე** ევროპის ჩემპიონატზე ეს პირველი მატჩია, რომელიც სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტს. პორტუგალიელებს პირველი ადგილი განაღდებული აქვთ, მასპინძელ შვეიცარიას კი ბოლოში ვეღარავინ შეეცილება.

ლუიშ ფელიპე სკოლარი, სავარაუდოდ, რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დაასვენებს, რათა ისინი მეოთხედფინალში სრულ მზადყოფნაში ჰყავდეს, მით უმეტეს, რომ იქ მისი შეგირდები, სავარაუდოდ, გერმანიას გადეყრებიან და მძიმე ბრძოლა ექნებათ.

ეს არ ნიშნავს, რომ პორტუგალია მოგებას არ ეცდება. ჯერ ერთი, რომ ნაკრების სათადარიგო მოთამაშეებიც უმაღლესი კლასისანი არიან და თან ისინი შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებენ.

შვეიცარიელებს კი თავისი მოტივაცია აქვთ, მათ სურთ, საკუთარი ფანების თვალწინ ერთი მატჩი მაინც მოიგონ. კობი კუნის შეგირდების ბედი ამ ევროპის ჩემპიონატზე ტრაგიკული გამოდგა. მათ ორივე შეხვედრა კარგად ჩაატარეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ, თან თურქებთან მეორე დამატებულ წუთზე გაუშვეს საბედისწერო გოლი. პირველ მატჩში კი კაპიტანი ალექსანდერ ფრაი დაუშავდათ.

აღსანიშნავია, რომ ეს ნაკრებები ერთმანეთს მეცხრამეტედ შეხვდებიან, აქამდე 7-ჯერ შვეიცარიამ მოიგო, 6-ჯერ — პორტუგალიამ, 5 მატჩი კი ფრედ დასრულდა. შვეიცარიელებმა ამ თამაშებში 24 გოლი გაიტანეს, ხოლო პორტუგალიელებმა — 23.

პორტუგალიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ეუსებიო კრიშტიანუ რონალდუთი აღფრთოვანებულია, ხოლო ნაკრების თამაშით კმაყოფილი, მაგრამ ფავორიტობაზე საუბარს გადამეტებულად მიიჩნევს.

„რონალდუს არავისთვის არაფერი არ აქვს დასამტკიცებელი. მან ეს უკვე გააკეთა, როცა პრემიერლიგის ბომბარდირი გახდა, ასევე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად მოიგო ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა. თუმცა ნაკრებში იგი სხვანაირად თამაშობს, აქ ყველაფერი მასზე არ არის აწყობილი, პორტუგალია გუნდურად თამაშობს და ეს ძალიან კარგია. კრიშტიანუს შეუძლია, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს. რაც შეეხება ნაკრების შანსებს, პირველი ორი მატჩით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, ახლა ცოტა დამშვიდება შეგვიძლია, მაგრამ პორტუგალიას ფავორიტად არ მივიჩნევ. ასეთებად გერმანიას, ჰოლანდიას, იტალიას და ესპანეთსაც კი ვთვლი, მაგრამ პორტუგალია ჯერ იქამდე არ მისულა, სამაგიეროდ, სწორ გზაზე ვდგავართ და ვვითარდებით. თუმცა ასე ერთად ყოფნით და კარგი თამაშით ფინალში გასვლა ნამდვილად შეგვიძლია, იქ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — განაცხადა ეუსებიომ.

კობი კუნი: „ტურნირს გამოვეთიშეთ და ძალიან გული გვწყდება, მაგრამ წვეულება გაგრძელდება! ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან შვეიცარია მულტიკულტურული ქვეყანაა, რომელშიც ბევრი გერმანელი, იტალიელი, პორტუგალიელი და ფრანგი ცხოვრობს. ასე რომ, ზეიმი და სიხარული ისევ დიდი დოზით იქნება, შვეიცარიელებმა ეს დაიმსახურეს. ჩვენ კი ვეცდებით, მესამე მატჩშიც კარგად ვითამაშოთ, ოღონდ აღარ წავაგოთ“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბრიუკნერი და ალთინთოფი პენალტების წინააღმდეგ

## თერთმეტი მეტრიდან პარის დანახვა არავის უნდა

„სტად დე შენევი“, შენევა

**თურქეთი — ჩეხეთი**

**საპარაუდო შემადგენლობები**

**თურქეთი:** ვოლქანი; ჰამით ალთინთოფი, ემრე აშიქი, სერვეთი, ჰაქან ბალთა; გიოქდენიზი, აურელიო, თუმერი, თურანი; თუნჯაი, ნიჰათი

**მწვრთნელი:** ფატიჰ თერიმი

**ჩეხეთი:** ჩეხი; გრიგერა, უიფალუში, როზეჰნალი, იანკულოვსკი; გალაშეკი; სიონჯო, მატეიოვსკი, პოლაკი, პლაშილი; ბაროში

**მწვრთნელი:** კარელ ბრიუკნერი

**მსაჯი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)



**ამ მატჩის** ფრედ დასრულების შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატზე პირველად ჯგუფურ ეტაპზე პენალტები დაინიშნება.

1976 წელს, ევროჩემპიონატის ფინალში ჩეხოსლოვაკიამ გფრ თერთმეტმეტრიანების სერიაში დაამარცხა, მაგრამ ჩეხთა მწვრთნელმა კარელ ბრიუკნერმა განაცხადა, რომ არ სურს პენალტებამდე საქმის მიყვანა.

„თერთმეტმეტრიანების შესრულებაში კი ვვარჯიშობთ, მაგრამ უმჯობესია, ისე კარგად ვითამაშოთ მთელი მატჩის განმავლობაში, როგორც პორტუგალიასთან პირველ ტაიმში და 90 წუთში მოვიგოთ. პორტუგალია ტურნირის დაწყებამდე ერთ-ერთი ფავორიტი იყო და ორ მატჩში გაინაღდა მეოთხედფინალი. ამაში სენსაციური არაფერია, ხოლო რაც შეეხება ჯგუფიდან კიდევ ერთ გამსვლელს, ამის გასარკვევად ჩვენ და თურქებს სამ-სამი მატჩის გამართვა დაგვჭირდა და მესამეში სწორედ ერთმანეთს ვხვდებით. ეს უკვე ფინალის ტოლი თამაშია, ჩემთვის განსაკუთრებული და ვიმედოვნებ, რომ ბოლო არ იქნება ამ ტურნირზე“ — განაცხადა ჩეხთა თავკაცმა.

კარელ ბრიუკნერმა პორტუგალიასთან ძირითად შემადგენლობაში კოლერის ნაცვლად ბაროში ათამაშა და გადაწყვეტილება ასე ახსნა:

„ბაროში კოლერისგან განსხვავებული ყაიდის ფორვარდია, სწრაფია და სიჩქარე თუ აკრიფა, ძალიან სახიფათო ხდება. ვფიქრობ, რომ მისი თამაში ჩემი მხრიდან სწორი ნაბიჯი იყო.

თურქებთან მატჩისთვის მზადება ხუთშაბათს დავიწყეთ. ჯგუფის ორივე მატჩს კიდევ ერთხელ გავაანალიზებთ. ვფიქრობ, რომ დაცვის ხაზს დახვეწა სჭირდება და ამაზე ვიმუშავებთ“.

ჩეხეთი და თურქეთი დიდ ტურნირზე ერთმანეთს აქამდე არ შეხვედრიან. ამხანგური. ოთხჯერ ითამაშეს და სამჯერ ჩეხებმა მოიგეს. 1994 წელს სტუმრად 4:1, შემდეგ ზედიზედ ორჯერ (1996, 2003) შინ 3:0 და 4:0 და ბოლოს, 2006-ში, იზმირში მასპინძლებს დაუზავდნენ — 2:2.

შვეიცარიასთან დრამატულ მატჩში გამარჯვების შემდეგ იშტაზე მოსული თურქები ჩეხეთთან გამარჯვებისთვის ემზადებიან.

„თერთმეტმეტრინების სერიისთვის ჩვენც ვემზადებით — თქვა ქაზიმ-რიჩარდსმა — პენალტის დარტყმის არ უნდა შეგეშინდეს იმის გამო, რომ შეიძლება ვერ გაიტანო.

შვეიცარიასთან თამაშის მერე ჩვენს გასახდელში საზეიმო განწყობა იყო. ყველა ხარობდა გამარჯვებით და ბიჭები ახლა უკეთეს ხასიათზე არიან. ვიცით, რომ ჯგუფიდან გასასვლელად ჩეხების ძლევაღაა საჭირო და საამისოდ გულიანად ვემზადებით“.

ჩეხებს დიდ ტურნირებზე სამჯერ მოუწიათ პენალტების შესრულება და იმ მატჩებში სამჯერვე იმარჯვეს, თურქებს კი ამის გამოცდილება არ აქვთ.

ისევე, როგორც კარელ ბრიუკნერს, ჰამით ალთინთოფსაც გულზე არ ეხატება თერთმეტმეტრიანების სერია და ძირითად დროში მოგება სურს: „ჩვენი გუნდის რეალური ძალა შვეიცარიასთან მეორე ტაიმში გამოჩნდა და ჩეხების დამარცხება პენალტებამდე უნდა შევძლოთ“.

ბოლოს ვთქვათ, რომ ამ ჯგუფის მეორეადგილოსანი მეოთხედფინალში ხორვატიას შეხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| თურქეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## B ჯგუფი. II ტური

## №13 იტალია 1:1 რუმინეთი

13 ივნისი. ციურიხი (შვეიცარია), „ლეიგრუნდი". 30 585 მაყურებელი

0:1 მუტუ (55), 1:1 პანუჩი (66)

*81-ე წუთზე მუტუმ ვერ გაიტანა პენალტი*




შეცვლა: რედოი – 20. დიჯა (25), პეროტა – 18. ჯასანო (66), პეტრე – 16. ნიკოლიცა (60), დელ პიერო – 15. ჯვალიარედა (77), ჯამორანეზი – 13. ამბროზინი (85), მუტუ – 11. ჯოჩიში (88)

გაფრთხილება: მუტუ (43), ჯივუ (58), პირლო (61), გოიანი (73), დე როსი (90)

მსაჯები: ტომ ჰენინიგ ოვრებო (ნორვეგია); გეირ ოგე ჰოლენი (ნორვეგია), იან პეტერ რანდენი (ნორვეგია)

| | | |
|---|---|---|
| 12 | ჯარიმა | 19 |
| 12 | კუთხური | 5 |
| 5 | ჯარისკენ დარტყმა | 5 |
| 4 | ჯარში დარტყმა | 5 |
| 6 | თამაშგარე | 4 |
| 34,57 წთ | ბურთის ფლობა | 30,53 წთ |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

## ვინ რა თქვა

*რობერტო დონადონი:* „მსაჯობაზე საუბრით თავს არ შევიწუხებ. მოდით, ასე ვთქვათ — ეს არ იყო მისი დღე (ტომ ჰენინგ ოვრებოს შესახებ — რედ.). სრული სისულელეა — ისინი ჰოლანდიასთან მატჩში მოედნის მიღმა გადავარდნილ პანუჩის აფიქსირებენ, მაგრამ მათ ცხვირწინ წაქცეულ ლუკა ტონის ვერ ამჩნევენ. ასე ვიტყოდი — გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია. უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით და ერთადერთი გამოვიყენეთ... ქულით დაკმაყოფილება გვიწევს, რაც არანაირად არ გვაწყობს".

*ვიქტორ პიცურკა:* „ეს სამართლიანი შედეგია. თუმცა მოგებაც შეგვეძლო — თამაშის განმავლობის დიდ ნაწილს ვაკონტროლებდით და პენალტიც ვერ გამოვიყენეთ".

**რუმინეთის ნაკრების ლიდერმა ადრიან მუტუმ იტალიელთა დაცვა ხომ გააწამა, ჯიჯი ბუფონის კარის ჩარჩოში მისი 3 დარტყმა წავიდა, ხოლო კიდევ ორ ცდაზე ფლორენციელმა ააცილა.**

**ამ შეხვედრაში იშვიათად ბევრი — 17 კუთხური დაინიშნა, იტალიელთა 12-დან 5 ანდრეა პირლომ ჩააწოდა.**

**შეხვედრაში ასევე ოფსაიდების სიუხვეც იყო — 10. დელ პიერო, ტონი, მუტუ და დანიელ ნიკულაე თამაშგარე მდგომარეობაში 2-2-ჯერ აღმოჩნდნენ.**

**მიუხედავად უდიდესი დაძაბულობისა, მატჩი „საშუალო უხეშობის" იყო. ყველაზე უხეშები რაზვან რაცი და, გაგიკვირდებათ, ლუკა ტონი იყვნენ — 3-3 ჯარიმა „აიკიდეს".**

# მრავალმხრივ საინტერესო თამაში

**ანგარიში?** ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონს ორი თამაშიდან ერთადერთი ქულა აქვს? ბურთების საძაგელი სხვაობა, 1:4? დაღლილობა, პირველ თამაშში თუ მეორეს ბოლო მონაკვეთში რომ იჩინა თავი? დიახ, რასაკვირველია, ეს ველაფერი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მაინც ის ხუთი ცვლილება, რობერტო დონადონიმ ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ რომ გააკეთა. გუნდი რომ დაულაგებელია, ამ ხუთმა ცვლილებამ თავიდანვე მიგვანიშნა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ის ფეხბურთი, რომელიც „სკუადრა აძურამ" რუმინეთთან პირველ ტაიმში ითამაშა, გაცილებით სჯობდა ჰოლანდიასთან ნათამაშებს, მაგრამ შედეგი?

ბევრი იტყვის, შედეგზე გავლენა ცუდმა მსაჯობამ იქონიაო და შესაძლოა, ცამდე მართალიც იყოს, მაგრამ მაინც ვშიშობთ, რომ იტალიელმა ფეხბურთელებმა დამღელი სეზონის შემდეგ ძალების აღდგენა ვერ მოახერხეს...

ცვლილებები კი მართლაც შთამბეჭდავი ჰქონდა სინიორ დონადონის. მაგალითად, დაცვის ცენტრი მთლიანად გამოეცვალა, პანუჩი ფრთიდან შუაში შეეწია, მის მეწყვილედ კი კიელინი განეწესებინა. ძამბროტა, შესაბამისად, მარცხნიდან მარჯვნივ გახლდათ გადმოტყორცნილი, მარცხნივ კი გროსო ჰყავდა, რომელსაც, ჩვენი მოკრძალებული აზრით, „სკუადრა აძურას" ერთ-ერთი ნათელი წერტილი შეიძლება ვუწოდოთ.

კიდევ არ იყვნენ გატუზო, ამბროზინი და დი ნატალე. მათ მაგივრად თამაშობდნენ დე როსი, პეროტა და დელ პიერო.

რუმინელებს კი წინა შეხვედრასთან შედარებით ორი ახალი კაცი ჰყავდათ, ნიკოლიცას და კოჩიშის მაგივრად კოდრეა და პეტრე მოქმედებდნენ.

წინა თამაში რუმინელებს საფრანგეთთან ჰქონდათ, სადაც სრულიად ჩაკეტილები, ბურთის მოპოვებას და შეტევაზე გადასვლას თითქოს არც კი აპირებდნენ, იტალიასთან კი უფრო სწრაფადაც იმოქმედეს და უფრო თამამადაც. ერთი სიტყვით, მეორე შეხვედრაში უკვე ფეხბურთი ითამაშეს.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ გოლებამდე, ანუ მეორე ტაიმის დაახლოებით შუაწელამდე, მატჩი კარგი სანახავი იყო. იტალიელთა შეტევები თავიდან მეტწილად მარცხნიდან, გროსოს მონაწილეობით ვითარდებოდა. მარცხნიდან ჩაკიდებულ მაღალ ბურთებს საჯარიმოში ტანმაღალი ტონი ხვდებოდა და მეტწილად თავს ურტყამდა, მაგრამ არ გაუმართლა, ვერა და ვერ შეაგდო, თუ იმ ერთ ეპიზოდს არ ჩავთვლით, როდესაც კი გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს — თანამსაჯმა ოფსაიდი „აუწია". იყო ოფსაიდი? თითქოს, უფრო არა, მაგრამ ამაზე დარწმუნებით თქვენ უფრო იმსჯელებთ, რადგან ახლა, ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, ეპიზოდი, ალბათ, უამრავჯერ გაქვთ ნანახი.

პირველ ტაიმში იყო პერიოდი, როდესაც „სკუადრა აძურას" შეტევამ ფრთა იცვალა, მაგრამ ჩაწოდება და ტონის მაღალი ნახტომები ამით არ შეცვლილა.

რუმინელებმა კი სამჯერ ძალიან სახიფათოდ კონტრშეუტიეს მსოფლიოს ჩემპიონს. თავიდან მუტუ შევარდა მარცხნიდან მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბუფონს ვერ აჯობა (ვინძლო, ბუფონი მატჩის გმირადაც უნდა დავასახელოთ, მით უფრო, რომ მეორე ტაიმში პენალტიც მოიგერია), მეორედ საჯარიმოდან კივუს დარტყმული პანუჩიმ აისხლიტა და ძელს მოხვდა, მესამედ კი ტამაშმა დაარტყა შორიდან, თუმცა ისევ ბუფონმა იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ კი თავიდან თითქოს დიდი არაფერი ხდებოდა, მერე კი ერთბაშად ორი გოლი გავიდა. ჯერ რუმინელებმა გაიტანეს — ტამაშის შორეული ჩაკიდებული ძამბროტამ, რომელიც, როგორც ჩანს, ფლანგის გამოცვლას მაინცდამაინც ვერ შეეგუა, თავით... მუტუს დაუგდო საგოლე პასი და გაატანინა, მეორე კი იტალიელებმა: კუთხურიდან ჩაკიდებული კიელინიმ შორეულ ძელთან გადაგზავნა, საიდაც პანუჩიმ ფეხი მიჰკრა.

ამის მერე თამაშმა ნაპერწკალი დაკარგა, მეტოქეებმა სიფრთხილეს უმატეს, თუმცა იყო ეპიზოდი, რომელმაც ყველა ააღელვა: იტალიელები იმიტომ, რომ მათ კარში საეჭვო პენალტი დაინიშნა, რუმინელები კი იმიტომ, რომ მოგების შენსი ეძლეოდათ და ვერ გამოიყენეს — მუტუს დიდებულმა ბუფონმა აჯობა.

**პაპუნა კედია**

**მატჩის გმირი ჯიჯი ბუფონი**

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## B ჯგუფი. II ტური

## №14 ჰოლანდია 4:1 საფრანგეთი

13 ივნისი. ბერნი (შვეიცარია). „სტად დე სუისი". 30 777 მაყურებელი

10 კუიტი (9), 2:0 ვან პერსი (59), 2:1 ანრი (71), 3:1 რობენი (72), 4:1 სნეიდერი (90)




შეცვლა: ენგელაარი – 11. რობენი (46), კუიტი – 7. ვან პერსი (55), მალუდა – 18. გომისი (60), გოვუ – 8. ანელკა (75), ვან დერ ვაარტი – 14. ბოუმა (78)

გაფრთხილება: მაკელელე (32), ოიერი (51), ტულალანი (82)

მსაჯები: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია); კარსტენ კადახი (გერმანია), ფოლკერ ვეცელი (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| 17 | კარიმა | 17 |
| 2 | კუთხური | 6 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 9 | კარში დარტყმა | 9 |
| 0 | თამაშგარე | 0 |
| 31 წთ | ბურთის ფლობა | 28 წთ |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

# ეს თუ სიკვდილის ჯგუფია, ჰოლანდია დამკრძალავი ბიურო ყოფილა

**რაღა** საჭიროა ევროპის ჩემპიონატის გაგრძელება? მისცენ თასი და ოქროს მედლები ჰოლანდიას და დაიშალონ.

მსოფლიოს ბოლო ჩემპიონს 3:0 ხომ მოუგეს, წუხელ კიდევ ფინალისტიც დესერტად დააყოლეს, თან უფრო კოხტა ფეხბურთი ითამაშეს და ერთიმეორეზე უკეთესი გოლები შეყარეს.

ჰოლანდიამ სიკვდილის ჯგუფი სასაცილო ჯგუფად აქცია — საფრანგეთი და იტალია სამადლო ქულებით ბოლო ტურისთვის ერთმანეთს საჯიჯგნად შეატოვა, თან მათივე ბედის გადაწყვეტის უფლება დაიტოვა.

ერთი რამ ცნობილია — იტალია ან საფრანგეთი მეოთხედფინალში ვერ გავა, მაგრამ თუ ჰოლანდია რუმინეთთან წააგებს, რაიმონ დომენეკი და რობერტო დონადონი ხელიხელგადახვეულნი წავლენ სახლებში.

ლილიან ტურამმა 142-ე მატჩი ითამაშა ნაკრებში და თვითონაც დაახლოებით ამ ასაკშია. ბარემ მარსელ დესაიც წაეყვანა დომენეკს და იქ პლატინიც ჩამოვიდოდა მოედანზე. აბა, რაღა დროს ტურამია, როცა რობენი, სნეიდერი და ვან პერსი ისე დარბიან, მიწას, ფეხს არ აკარებენ.

გალასი კი ყოველ გაშვებულ გოლზე ისე ნერვიულობდა და ღრიალებდა, თმა რომ ჰქონდეს, გაჭაღარავდებოდა.

მაკელელე და ტულალანი ერთმანეთს მეტოქეების ჩეხვაში ეჯიბრებოდნენ. ვერც დაცვაში წაადგნენ გუნდს და არც შეტევაში იყო მათგან ხეირი.

ანრი „არსენალისთვის" ლეგენდარულია, მაგრამ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე არასოდეს გაუკეთებია რაიმე განსაკუთრებული და აქაც ვერ ბრწყინავს. მალუდამ მაკრატელა პასით ვან დერ სართან პირისპირ რომ გაიყვანა, შეეძლო დაბალი დარტყმით შეეგდო ბურთი კარში, მაგრამ ლამაზად მოინდომა გატანა, ბურთი მეკარეს თავზე გადაუგდო და 1:0-ზე გათანაბრების შანსი გაანიავა.

ანრის არაერთხელ უთქვამს, რომ როგორც მსურს, ისე უნდა დავარტყაო და კიდეც დასაჯა არსენალელმა ვან პერსიმ ამ მომენტიდან ხუთ წუთში.

ერთადერთი რიბერი იყო, მოედნის გოჯი რომ არ დაუტოვებია ფეხდაუდგმელი, მაგრამ ამყოლი არ გამოუჩნდა.

გოვუ ცდილობდა რაღაცას, ხოლო შეცვლაზე შესულ გომისს და ანელკას ერთად, ტრეზეგეს თავი რომ დავანებოთ, ჯიბრილ სისეც სჯობია.

ჰოლანდიაზე სიტყვის სათქმელად კი კაცს ენა არ მოუბრუნდება. ამ გუნდზე ლაპარაკი არცაა საჭირო, ჰოლანდიას უნდა უყურო.

### ვაჟა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დავიდ ვილია (ესპანეთი) | 3 |
| ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) | 3 |
| ვესლი სნეიდერი (ჰოლანდია) | 2 |

ანგარიში დირკ კუიტის ამ თავურით გაიხსნა

## ვინ რა თქვა

*ტიერი ანრი:* „შევრცხვით. 2:1-ზე ისინი თავის სიძლიერეში უნდა დაეჭვებულიყვნენ, მაგრამ პირიქით კი მოხდა — ცენტრიდან დაიწყეს და მესამე გოლი გაგვიტანეს. ახლა თავი უნდა მოვიკლათ და იტალია დავამარცხოთ".

*რაიმონ დომენეკი:* „თუ ეს არ იყო პენალტი (ოიერის ხელით თამაშზე — რედ.), მაშინ საერთოდ აღარ ვიცი, რისთვის ინიშნება პენალტები. არსებობს ვიდეო და ნახონ, როგორ მოგვპარეს გოლი".

*მარკო ვან ბასტენი:* ბედნიერი ვარ — ერთი კვირის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი გავანადგურეთ. ფრანგებთან კარგად დავიწყეთ, მერე ინიციატივა დავკარგეთ და შეცვლაზე შესულმა ბიჭებმა გვიხსნეს.

მიუხედავად ჰოლანდიელთა შთამბეჭდავი ანგარიშით გამარჯვებისა, ამ ნაკრების მეკარეს იოლი დღე არ ჰქონია — ედვინ ვან დერ სარმა მეტოქის 8 დარტყმა მოიგერია და ტურნირის რეკორდი გაიმეორა, რომელიც ესპანელებთან 1:4 წაგებულ მატჩში რუსმა აკინფეევმა დაფიქსირა. მისი ფრანგი ვიზავი გრეგორი კუპე ასევე დაიტვირთა, მაგრამ მის კარში წამოსული 9 დარტყმიდან მხოლოდ 5 მოიგერია.

ყველაზე მეტი პასი ფრანკ რიბერის ანგარიშზეა — 66, ხოლო პატრის ევრამ ხსენებულ რიბერის ბურთი 12-ჯერ გადასცა. ჰოლანდიელთა შორის ყველაზე შეხმატკბილებული წყვილი ოიერმა და ბულარუზმა შეადგინეს — ბურთი ურთიერთს 17-ჯერ მიაწოდეს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge